

“ალორძინება”  
სულიერი განვითარების ცენტრი

# სამყაროს მოწყობა

მართას მიერ მიღებული მამა აბსოლუტის  
გზავნილები 2016 წლის  
14 იანვრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით

# სამყაროს მოწყობა

მართას მიერ მიღებული მამა აბსოლუტის  
გზავნილები 2016 წლის

14 იანვრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით

# შინაარსი

სამყაროს მთავარი კანონები .....	4
რა არის ენერჯია.....	5
დედამიწის ნატიფი დონის ღვთაებრივი გრადაცია.....	8
დედამიწის ნატიფი და მკვრივი (ფიზიკური) დონეების ურთიერთქმედება ანუ არეკვლის კანონი .....	12
მთვარე.....	18
მზე .....	20
გალაქტიკის უცხოპლანეტური ცივილიზაციები.....	21
პარალელური სამყაროები .....	23
აგარტა და “შვიდი პლანეტა” .....	23
სიზმრების სამყაროები.....	25
წყლის მცველთა სამყარო.....	28
ადამიანის რასის წარმოშობა.....	29
ადამიანთა რასის წარმოშობა (გაგრძელება).....	32
ყველაფერი საკუთარ ადგილს უბრუნდება.....	33
პლანეტა გლორია .....	35
ენერგეტიკული გაერთიანება სამყაროსთან .....	38
ენერგეტიკული ურთიერთკავშირის შესახებ .....	39
ენერგეტიკული ურთიერთკავშირის შესახებ (გაგრძელება).....	43
ბუნებრივი სტიქიები (მამა აბსოლუტი).....	45
ბუნებრივი სტიქიები. წყალი .....	45
ბუნებრივი სტიქიები. ჰაერი. ....	48
ბუნებრივი სტიქიები. მიწა.....	49
ბუნებრივი სტიქიები. ცეცხლი .....	51
ბუნებრივი სტიქიები. სიყვარული.....	54

## სამყაროს მთავარი კანონები

არსებობს სამყაროს სამი ძირითადი კანონი, რომლებიდანაც ყველა დანარჩენი გამომდინარეობს.

პირველი. რაც ზევით, ის ქვევით ანუ რაც შიგნით ის გარეთ.

მეორე. მსგავსი ყოველთვის მსგავსს იზიდავს, ანუ ენერგიები მიიზიდება ვიბრაციების მიხედვით.

მესამე. მთლიანობის და ერთობის კანონი, ანუ სამყაროში ყველაფერი ერთი მთლიანის ნაწილებია.

ახლა კი შეგვიძლია გავჩერდეთ ყოველ მათგანზე სათითაოდ.

### პირველი კანონი

მისგან გამომდინარეობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომლებიც დიდი რაოდენობითაა, და მთავარი მათგანია ის, რომ თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი რაც ხდება – ეს თქვენი შინაგანი მდგომარეობის ამსახველია: თქვენი აზრების, ემოციებისა და გრძნობების. რაც ნიშნავს, რომ თქვენი ყველა უბედურებისა და ტანჯვის მიზეზი უნდა ეძებოთ მხოლოდ საკუთარ თავში.

### მეორე კანონი

ყველაფერი, რაც თქვენს გარემოცვაშია, ასახავს თქვენი სულიერი განვითარების დონეს, თქვენი ვიბრაციის დონეს. და თუ თქვენ ეს (თქვენი გარემოცვა) არ მოგწონთ, მაშინ უნდა იმუშავოთ საკუთარ თავზე, რათა უფრო მაღლა ახვიდეთ და მაშინ შეიცვლება თქვენი ცხოვრება, ადამიანები თქვენს გარშემო, ყველაფერი სხვა ფერებით შეიმოსება. და ეს ყველაფერი თქვენს ძალებშია ჩემო ძვირფასებო!

### მესამე კანონი

ეს კანონი ყველაზე უფრო რთულია თქვენთვის გასაგებად, მაგრამ ის ვინც მის სრულყოფიერად გააზრებას შეძლებს მიაღწევს ნამდვილ ბედნიერებას.

საქმე ისაა რომ, ჩემო ძვირფასებო, ასეთი დიდი ხნის განმავლობაში დუალურ სამყაროში ყოფნის გამოთ ქვენ დაკარგეთ ერთობლივ სახლთან კავშირის გრძნობა, თქვენ დაგავიწყდათ, რომ ყველანი ხართ დიდი სამყაროს ნაწილები, რომლებიც მისგან (სამყაროსგან) გამოეყავით გამოცდილების მისაღებად თქვენი სულისათვის. და დიდად მნიშვნელოვანია თქვენთვის, რომ მიხვდეთ, რომ არ შეუძლია ერთი მთლიანის ნაწილს იყოს ჭეშმარიტად ბედნიერი, როდესაც ყველა დანარჩენი უბედურია. ამიტომაც ამბობებ “შეიყვარე მოყვასი (ახლობელი) შენი,



როგორც შენი თავი“. მაგრამ დამეთანხმეთ ჩემო ძვირფასებო, რამდენად გიძნელდებათ თქვენ ამის გაკეთება.

მაგრამ ის, ვინც შეძლებს ამ გამონათქვამის მთელი სიღრმის გაცნობიერებას, შეიცნობს საკუთარ ღვთაებრივ არსს და ნამდვილ ბედნიერებას მიიღებს.

## რა არის ენერჯია

### მამა აბსოლუტის გზავნილი 13 თებერვალი 2016 წ.

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო შვილებო!

დღეს ჩვენ გვექნება სერიოზული საუბარი, რადგანაც მე მსურს მოგიყვებო, თუ როგორ არის მოწყობილი სამყარო, რისგან შედგება ის, და რა არის ენერჯია და ნატიფი ენერჯო-ინფორმაციული სტრუქტურა. მე შევეცდები აგიხსნათ ეს რაც შეიძლება მარტივად, რადგანაც მსურს, რომ ყველასათვის გასაგები იყოს, იმის და მიუხედავად, თუ როგორია თქვენი ცოდნა მეცნიერების კუთხით.

და ასე, დავიწყოთ იმით, რომ ყველაფერი თქვენს სამყაროში ენერჯიაა. მეცნიერები ამას საკუთარ გასნაზღვრებას აძლევენ, მაგრამ რეალურად ყველაფერი ბევრად მარტივია, ვიდრე მათ ჰგონიათ, და ამასთან ერთად უფრო რთულადაცაა, რადგანაც ამ სუბსტანციას საზღვრები არ აქვს – ის უსასრულოა დროსა და სივრცეში.

თუ ვისაუბრებთ სრულიად მარტივი ენით, მაშინ ენერჯია – ეს არის ის, რასაც აქვს უნარი სახეცვლილებისა, ეს ყველა არსებულის პირველსაწყისია, გამშვები წერტილია აბსოლუტურად ყველაფერის: აზრების, გრძნობების, მოქმედებების, ემოციების.

ენერჯია არსებობს დადებითი და უარყოფითი, რაც გავს სხვადასხვა ნაირად დამუხტულ ნაწილაკებს, და ისინი ასევე განიზიდებიან ერთმანეთისგან პირველივე შეხებისას.

ენერჯია არსებობს ცნობიერების მქონე და ცნობიერების არმქონე. ცნობიერების არმქონე ენერჯიები ძალიან მცირე ნაწილს მოიცავს. მაგალითად: მიზიდულობის ენერჯია, რომელიც დედამიწის გრავიტაციულ ველთანაა კავშირში და კიდევ რამოდენიმი მისი მსგავსი ენერჯია როგორიცაა გადანაწილების და ერთიან მთლიანთან მიკუთვნების ენერჯია.

ვრცლად განვიხილავთ იმ ენერჯიებს, რომლებიც გხვდებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომლებსაც თქვენთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მე შევეცდები აგიხსნათ, როგორ წარმოიქმნება მატერია და რისგან შედგება ადამიანი. ყველაფერი რაც დედამიწაზე არსებობს – ეს არის კონცენტრაცია

სხვადასხვა სახის ენერგიებისა, რომელიც საშუალებას იძლევა მოცემული ობიექტის (მათ შორის ადამიანის) მატერიალიზირებისა. როგორ ხდება ეს?

თავდაპირველად ეს ხდება ნატიფ დონეზე. გაგიკვირდებათ, მაგრამ უსულო ნივთებსაც კი აქვთ საკუთარი ენერგო-ინფორმაციული სტრუქტურა, ანუ ნატიფი სხეულები, ანუ საკუთარი ენერგეტიკა.

მაგრამ ჯერ გავჩერდეთ ადამიანის ენერგეტიკულ შემადგენლობაზე. და დავიწყებთ ჩვენ ჩასახვის მომენტიდან, როდესაც ხდება ძლიერი ენერგეტიკული გამობრქვევა და კაცური და ქალური ენერგიების შეერთება. ის რაც ხდება შემდგომში გავს ენერგეტიკულ ადაპტაციას იმ განზომილებებისა, რომლიდანაც სული აპირებს ინკარნიტებას მესამე განზომილებაში, რომელშიც მას ცხოვრება მოუწევს.

ეს ძალიან რთული, შეიძლება ითქვას საკრალური პროცესია, რადგანაც ხშირად დედამიწაზე ეშვება ძალიან მაღალი სული, რომელმაც მისიად მსახურება აირჩია ადამიანების გადარჩენის მოტივით. ზოგჯერ პირიქითაც ხდება, აქ მოდინა სულები უფრო დაბალი განზომილებებიდან, რათა საკუთარი სულიერი განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდნენ.

ზოგჯერ ენერგიების განსხვავებულობა კოლოსალურია, და რათა მსგავსმა მიიზიდოს მსგავსი, ანუ რათა დედის საშვილოსნომ, რომელიც მესამე განზომილებაშია, შეძლოს მიიღოს არსება ასე განსხვავებული ვიბრაციისა, ამისთვისაა მოცემული ბავშვის გასაჩენად ასეთი დიდი ვადები. ეს იმიტომ ხდება, რათა სულმა მაღალი განზომილებებიდან შეძლოს მესამე განზომილებამდე “გამკვრივება” და პირიქით. ამგვარად ხდება დედისა და შვილის ენერგო კავშირი.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ ფრომირდება ადამიანის ენერგო-ინფორმაციული სტრუქტურა. ამ პროცესის ახსნა უფრო რთულია, რადგანაც თქვენი ნატიფი სხეულები უკვე ეკუთვნის ღვთაებრივ ასპექტს და საკუთარ თავში ღმერთის ნაწილს მოიცავენ, ეს ნაწილი ყოველ თქვენგანშია ჩადებული.

ესეც ენერგიაა, მაგრამ მესამე განზომილებამდე არ არის გამკვრივებული. შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ ის მეოთხე განზომილებაში იმყოფება, ხოლო ზოგიერთი ადამიანის შემთხვევაში, რომლებიც სულიერი განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იმყოფებიან, მეოთხე განზომილებაზე მაღლა გვხვდება ნატიფი სხეულები. მაგრამ ასეთ ადამიანების რაოდენობა საკმაოდ მცირეა და წესებიდან გამონაკლისს უფრო შეადგენენ. უმრავლესობას კი ნატიფი სხეულები გამკვრივებული აქვთ მაქსიმალურ შესაძლო დონემდე და პრაქტიკულად კარგავენ საკუთარ კავშირს სამყაროს ღვთაებრივ დონესთან.

თუ ვისაუბრებთ უფრო მარტივი ენით, ადამიანების ნატიფი სხეულები – ეს არის გაიშვიათებული ენერგია სხვადასხვა კონცენტრაციით. რაც უფრო სულიერია ადამიანი, მით უფრო გავრცობილია მისი ნატიფი სხეულები. ანუ ისინი მოცულობით უფრო დიდებია და უფრო მეტ ღვთაებრივ ენერგიას იტევენ. ხოლო სულიერად ნაკლებად განვითარებულ ადამიანებს, ზედმეტად მიწიერ და

მატერიალურებს, ნატიფი სხეულები “შეპრესილი” აქვთ და თითქმის ფიზიკურს ერწყმიან.

ახლა მსურს გავჩერდე იმაზე, თუ როგორ შეუძლია ადამიანს მართოს საკუთარი ენერგო სუბსტანციები. რადგანაც დადებით და უარყოფითი ემოციებს აქვთ განსხვავებული ენერგოაღვსება, ადამიანს შეუძლია შეცვალოს საკუთარი ენერგია აზრის ძალის მერშვობით.

ყველაზე ძლიერი სამყაროში არის სიყვარულის ენერგია. და მას შეუძლია ნამდვილი სასწაულების ჩადენა. ზუსტად მას შეუძლია შეცვალოს ადამიანის ენერგეტიკული სტრუქტურა და გაავრცოს ის ღვთაებრივ დონემდე.

და პირიქით, ნეგატიური ენერგია ისეთი, როგორიცაა: ბრაზი, შური, სიზულვილი და ასე შემდეგ, ამკვირვებენ ადამიანის ნატიფ სხეულებს ართმევენ მას თავდაპირველად არსებულ ღვთაებრივ ენერგიებს.

ახლა კი აგიხსნით, თუ როგორ ფორმირდება ენერგო-ინფორმაციული სტრუქტურები უსულო ნივთებისა. რაღატქმაუნდა მე ვგულისხმობ იმას, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი, რადგანაც ყველა დანარჩენი თავდაპირველადვე ცოცხალია და აქვს საკუთარი ენერგეტიკა. ნებისმიერი ნივთი, რომელიც ადამიანის ხელითაა შექმნილი – უბრალო კერძიდან დაწყებული ყველაზე რთული მექანიზმით დამთავრებული – ყოველთვის მოიცავს იმ ადამიანს ან ადამიანების ენერგიას, რომლებმაც ის შექმნეს. და ზუსტად ეს ენერგია ქმნის მოცემული ნივთის ენერგო-ინფორმაციულ ველს. და ზუსტად ამიტომაც, რომ ნივთები, რომლებიც გაკეთებულია სიყვარულით, ატარებენ მაღალ ვიბრაციებს და ადამიანებს ჩუქნიან ბედნიერებას, ხოლო რაც ნაჩქარევად, უემოციოდ, “უნიჭოდ”-უსულოდაა გაკეთებული, რჩებიანი ასეთივე ცივი, უსულო ნივთები და ადამიანის გაბედნიერება არ შეუძლიათ. თუმცა აქ კიდევ ბევრია იმაზე დამოკიდებული, თუ როგორი ადამიანის ხელებში ხვდება ასეთი ნივთი. ადამიანი, ვინც ამ ნივთს იყენებს, შეაქვს გარკვეული კორექტირება ანუ საკუთარი ენერგია. და თუ ეს სიყვარულის ენერგიაა მას შეუძლია აღავსოს ეს ნივთი და პირიქით, “ცუდ ხელებს” შეუძლია გააცივოს ის.

ამიტომაც ყოველთვის გახსოვდეთ, ჩემო ძვირფასებო, რამდენად დიდ პასუხისმგებლობას ატარებთ ყველაფრის მიმართ, რაც თქვენს ხელთ გხვდებათ, ყველაფრის მიმართ, რასაც აკეთებთ: ამ ყველაფერს სამყაროში თქვენი ერეგია შეაქვს. რაღატქმაუნდა ყველაზე ადვილია იგრძნოთ ენერგია ისეთი ქმნილებებისა, როგორიცაა მუსიკა, ლიტერატურა, პოეზია, მხატვრული შემოქმედება – ერთი სიტყვით, ყველა სახის ხელოვნება, რადგანაც ისინი ყოველი ადამიანის სულზე აისახება გარკვეული ვიბრაციებით. და სწორედ ეს ვიბრაციებია ამა თუ იმ ენერგიის ინდიკატორი.

განსაკუთრებულად ვლინდება ეს თქვენს ურთიერთქმედებაში ტექნიკის სხვადასხვა სახესთან – კომპიუტერთან, მანქანასთან, ტელეფონთან. ნურასოდეს იწუწუნებთ მათზე და ნუ ეჩხუბებით მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მსგავსად გიპასუხებენ: თქვენ მათგან მიიზიდავთ იმავე ენერგიას, რომლითაც

“დაასაჩუქრეთ” და ისინი დაიწყებენ გაფჭებას, კაპრიზულობას და მოგიტანენ ბევრ პრობლემას. თქვენ ალბათ უკვე შეხვედრილხართ ასეთ სიტუაციას ცხოვრებაში, ასე არაა? და თქვენ უკვე იცით, რომ გარეგანი ყოველთვის ასახავს შინაგანს. ხოლო ამ კანონის არსი ენერგო გაცვლაში მდგომარეობს.

და ბოლოს რისი მოყოლაც მსურდა მე დღეს ეხება თქვენი პლანეტის ენერგოსტრუქტურას. მას, მსგავსად ადამიანისა, აქვს როგორც ფიზიკური ასევე ნატიფი სხეულები. მაგრამ თქვენგან განსხვავებით მისი ნატიფი სხეულები უცვლელია, რადგანაც მდებარეობენ უკვე ღვთაებრივ გარემოში, მაგრამ ამასთან ერთად მასზე ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც მასზე ძალიან დიდ გავლენას ახდენენ.

თქვენი ნეგატიური აზრები, ემოციები და მოქმედებები ამახინჯებენ და აჭუჭყიანებენ მის ენერგო-ინფორმაციულ გარემოს. და რათა განიწმინდოს, მას უწევს გიჰასუხოთ იმავეთი: სტიქიური უბედურებებითა და ტექნოგენური კატასტროფებით, რადგანაც სამყაროს კანონები უცვლელია და ყველგან მოქმედებს: გარეგანი ყოველთვის ასახავს შინაგანს – როგორც მცირე ასევე მსხვილ მაშტაბებში. გახსოვდეთ ეს სულ, ჩემო ძვირფასებო!

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერშვეობით

## **დედამიწის ნატიფი დონის ღვთაებრივი გრადაცია**

### **დედამიწის ნატიფი სამყაროს თორმეტი დონე**

#### **მამა აბსოლუტის გზავნილი 14 თებერვალი 2016წ.**

მოგესალმებით ჩემო საყვარელო შვილებო!

დღეს ჩვენ გავაგრძელებთ სამყაროს მოწყობაზე საუბარს და მე აგიხსნით დაწვრილებით მის 12 განზომილებას.

როგორც წინა გზავნილიდან იცით, რომელშიც ახსნილი იყო თუ რა არის ენერგია, სხვადასხვა განზომილებების დონე განისაზღვრება ენერგიის კონცენტრაციით. ანუ რაც უფრო მაღლა მდებარეობს განზომილება, მით გაიშვიათებული (გავრცობილია) ენერგია.

იგივე მოუვა თქვენს ფიზიკურ სხეულებსაც, როდესაც თქვენ საბოლოოდ გადახვალთ მეხუთე განზომილების სამყაროში. ისინი გახდებიან ენერგეტიკულად



გაიშვიათებულები – მოქნილები და მოძრავები, რაც ნებას მოგცემთ მისცეთ მას ნებისმიერი ფორმა თქვენი სურვილის მიხედვით.

ახლა კი მე მსურს მოგიყვებოთ ღვთაებრივი “გრადაციის” შესახებ, რათა გქონდეთ ზოგადი წარმოდგენა, თუ როგორაა მოწყობილი თქვენი პლანეტის ნატიფი დონე.

სიმარტივისათვის წარმოიდგინეთ დედამიწა, როგორც ამას მიჩვეულები ხართ, გლობუსის სახით და დაე ეს იყოს მისი ფიზიკური სხეული.

ახლა დავიწყობთ მის გარშემო გარსების წარმოდგენა, ამასთან ერთად ყოველი მათგანი წინასთან შედარებით გეომეტრიული პროგრესიით ზრდადი მანძილითაა დაშორებული. ეს იმასთანაა კავშირში, რომ ყოველი ახალი დონე წარმოადგენს უფრო და უფრო გაიშვიათებულ სუბსტანციას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიბრაციის უფრო და უფრო მაღალ დონეს. და ასეთი გარსი დედამიწას თორმეტი აქვს. მე მოკლედ მოგიყვებით ყოველი მათგანის შესახებ.

პირველი გარსი წარმოადგენს იმ სიმკვრივეს (განზომილებას) სადაც სახლობენ ყველაზე დაბალი ასტრალის არსებები, - სულები, რომლების საბოლოოდ დეგრადირდნენ. ეს ისეთი სულები არიან, რომელთა გადარჩენაც უკვე აღარ შეიძლება, იმდენად დაბლა დაეცნენ ისინი, და აქ ხდება ერთგვარი უტილიზაცია გადამუშავებული მატერიალისა. ეს განზომილება გავს გულის ამრევ შავ მდულარე მასას.

მეორე განზომილება – აქ ხვდებიან ის სულები, რომლებმაც ვერ შეძლეს თავი დაეღწიათ ყველაზე მდაბალი ვნებებისგან, მაგრამ, რომლებიც ცდილობდნენ მაინც ამის გაკეთებას. და ამ სურვილმა ნება მისცა შეენარჩუნებინათ საკუთარი სულები და გაეგრძელებინათ მათთვის (სულებისთვის) ბრძოლა შემდეგ ცხოვრებებში. ამ განზომილებაში მკვიდრი სულები ყველაზე მეტად იტანჯებიან. ზუსტად ის არის თქვენს რელიგიებში აღწერილი როგორც ჯოჯოხეთი. აქ სინათლის სხივზე გამოდის მოცემული სულის ყველა მანკიერი თვისება და ის კონცენტრირებული დოზით განიცდის ყველა იმ ტანჯვას რომელიც სხვა სულებს მიაყენეს დედამიწაზე ყოფნისას. სწავლება ხდება მკაცრად, მაგრამ უნდა გააცნობიეროთ, ჩემო ძვირფასებო, რომ ეს არც მე და არც ვიღაცა სხვა სჯის ადამიანის სულებს. საქმე ისაა, რომ აქ გაძლიერებულ რეჟიმში მუშაობს არეკვლის კანონი, რომელიც მოქმედებს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ნატიფ სამყაროშიც. ამგვარად, ყოველი სული იღებს იმას, რაც თვითონვე მიიზიდა: ის აგრძელებს გაუვლელი გაკვეთილების ათვისებას საკუთარ ინკარნაციებს შორის.

მესამე განზომილება – ეს ის დონეა, სადაც ხვდება ადამიანთა სულების ყველაზე დიდი პროცენტული რაოდენობა მათი გარდაცვალების შემდგომ. ეს არის ზუსტად ის “საშუალო სტატისტიკური” ადამიანი – მცხოვრები, რომელიც ზედმეტი ვნებებით არ არის შებყრობილი, მაგრამ ცხოვრობს ინერციის ძალით, მოწყენილად, ნაცრისფრად და უინტერესოდ – ისე როგორც ყველა, როგორც მიღებულია, რომელთა სულებიც ჯერ არ გაღვიძებულან და ვინც ჯერ კიდევ არ არის მზად

გაცნობიეროს საკუთარი ინდივიდუალურობა და სულიერი განვითარების გზაზე დადგეს. ამ განზომილებაში ბევრის ცხოვრება ისეთივე მოსაწყენი და ნაცრისფერია, როგორც დედამიწაზე იყო, მაგრამ აქ მათ ეძლევათ შანსი გაეცნონ სამყაროს კანონებს და გააცნობიერონ საკუთარი მისია, ანუ ეძლევათ “გამოდვიძების” შესაძლებლობა და ამ სულებიდან მრავალი უკვე გაცნობიერებულად ირჩევს საკუთარ შემდგომ ინკარნაციას და იმ გაკვეთილებს რომელთა გასვაც მათ მოესურვებათ.

მეოთხე განზომილება – ეს ერთგვარი გარდამავალი დონეა გაუცნობიერებელი არსებობიდან გაცნობიერებულისაკენ. აქ ხვდება ის სულები, რომლებიც ჯერ კიდევ დედამიწაზე ფიქრობდნენ ცხოვრების არსზე, იმაზე, თუ რისთვის დაიბადნენ, რომლებმაც შეძლეს საკუთარი თავის რეალიზირება დედამიწაზევე, მაგრამ რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდნენ დუალური სამყაროს მანკიერებებისგან და საკუთარი ეგოს მოთვინიერება ვერ შეძლეს. ასეთ სულებს აქ ეძლევათ ფართო შესაძლებლობები განვითარებისათვის და შემდეგში ისინი უკვე სრულიად გაცნობიერებულად ირჩევენ საკუთარ დაბადებას, რათა გააგრძელონ საკუთარ “შეცდომებზე მუშაობა”.

მეხუთე განზომილება – ეს სასტარტო მოედანია იმ სულთათვის, ვინც სულიერი განვითარების გზას დაადგნენ და მივიდნენ ღმერთთან უკვე გაცნობიერებულად და არა ბრმად შესრულებული საეკესიო რიტუალებით და დაზეპირებული ლოცვებით. ესენი არიან, ვისაც დედამიწაზე ერქვათ “თავისუფლების მოყვარეები”, “ფარას გამოყოფილი” ადამიანები. ამ ადამიანებში დაიწყო მათმა ღვთაებრივმა არსმა გაღვიძება და მათ დაიწყეს ისე ცხოვრება, როგორც მათ გულმა უკარნახა, და არა გონებამ და მით უმეტეს სახალხო აზრმა. და ასეთი სულები როცა მიდიან დროებით დედამიწის ნატიფ დონეზე, იყენებენ ამ შესვენებას დაბადებებს შორის დიდი სარგებლელით საკუთარი თავებისათვის. ისინი მწყურვალედ “სვავენ” ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც მისაწვდომია მათთვის ნებისმიერი მოცულობით და ცდილობენ აინაზღაურონ გამოტოვილი ინფორმაცია დედამიწაზე.

ძალიან ხშირად ასეთი სულები, როდესაც საკუთარ შემდგომ დაბადებას ირჩევენ, ცდილობენ დაბრუნდნენ გარკვეული მისიით – იმით, რომ შემდეგ ცხოვრებაში მოუტანონ სარგებელი სხვა ადამიანებს. ხშირად ისინი იბადებიან მასწავლებლებად ან მკურნალებად.

მეექვსე განზომილება არის ახლო იმასთან, რასაც თქვენ სამოთხეს ეძახით. მასთან მიიზიდებიან ადამიანები, რომლებმაც ხალხის მსახურება დაიწყეს. ისინი, ვინც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა სხვებს, ვინც უმხელდა მათ ჭეშმარიტ ღვთაებრივ ცოდნას, ვინც გაიყოლა თან “მონათესავე” სულები. ესენი არიან დიდებული მასწავლებლები, განმასხვივოსნებლები, სულსა და სხეულების მკურნალები – ისინი, ვინც შეძლეს საზოგადოების საწინააღმდეგოდ წასვლა, მისი საუკუნეობრივი სტერეოტიპების წინააღმდეგ.

ნატიფ სამყაროსი ყოფნისას ისინი იღებენ ცოდნას სამყაროს ზეციური ძალებისგან, რომლებიც ამზადებენ მათ შემდგომი მსახურებისთვის – უკვე უფრო მაღალ დონეზე. და ეს ის გზაგასაყარია, რომელიც აძლევთ მათ გააკეთონ არჩევანი: ან ავიდნენ უფრო მაღლა – მეშვიდე განზომილებაში – და დარჩნენ მსახურებისათვის დედამიწის ნატიფ დონეზე, ან დაბრუნდნენ დედამიწაზე იმ მისიით, რომელსაც თვითონ აირჩევენ, იმით, რომ ადამიანები ღმერთისკენ გაიყოლონ.

მეშვიდე განზომილება წარმოადგენს დონეს, რომელზედაც ხვდებიან ყველაზე მაღალგანვითარებული სულები, რომლებსაც დედამიწაზე ოდესმე უცხოვრიათ. ესენი არიან ისინი, ვისაც შედეგად წმინდანად თვლიან და რომლებიც ცხოვრობდნენ უანგარო ცხოვრებით სხვა ადამიანების სასიკეთოდ, მაგრამ ვინც ვერ მიიღო ფართო აღიარება. ეს არის გასხივოსნებულების დონე. და ის, ვინც ეშვება დედამიწაზე უკვე ამ დონიდან, მოდის აქ ჭეშმარიტად დიდებული მისიით, რომლის მიზანია კაცობრიობის ყოფიერების ახალ დონეზე გადაყვანა.

და ეხლა დედამიწაზე იმყოფება ბევრი ასეთი დიდებული სული, რადგანაც მოვიდნენ ისინი დაამთავრონ ის, რაც არ შეეძლოთ გაეკეთებინათ საკუთარ წინა ცხოვრებებში. მაშინ ჯერ კიდევ არ იყვენ ადამიანები მზად გაეცნობიერებინათ საკუთარი ღვთაებრივი წარმოშობა და მიეღოთ სამყაროს ჭეშმარიტი კანონები.

მერვე განზომილება – ეს არის დონე ზეცაში მაცხოვრებლების: ანგელოზების და მთავარანგელოზების, ამალღებული ოსტატების – ყველა ის, ვინც ითვლება ნათელ ძალად, და ვინც აირჩია ზეციდან მსახურება. ისინი იფარავენ და იცავენ ადამიანთა სულებს, რომლებიც ინკარნირებულები არიან დედამიწაზე.

ეს მათ მიმართავთ თქვენს ლოცვებში, ისინი აგზავნიან სიყვარულის ღვთაებრივ ენრგიას, ისინი გიფარავენ ხიფათისგან და გაძლევენ ძალებს თქვენი ცხოვრების ყველაზე რთულ მომენტებში. ისინი არიან მთავარი ჩემი დამხმარეები და წარმომადგენლები ზეცაში. მათი ცხოვრება მართალი საქმითაა აღსავსე და ყოველი მათგანი დაკავებულია იმ საქმით, რომელიც მან თვითონ აირჩია და რომელიც უფრო სრულად პასუხობს მის მისიას. მაგრამ ეს საქმე მათთვის ყოველთვის ბედნიერების მომტანია, რადგანაც ისინი უგზავნიან ადამიანებს დამშვიდებას და სიყვარულს, და ეს მათთვის ყველაზე დიდი საჩუქარია.

მეცხრე განზომილება. აქ მკვიდრობენ მაღალი არსებები, რომლებიც აკონტროლებენ წინა სამი განზომილების ვიბრაციის დონეს (მეექვსედან მერვეს ჩათვლით) და აუცილებლობის შემთხვევაში მათ კორექტირებას ახდენენ. ეს აუცილებელია მათ შორის ბალანსის შესანარჩუნებლად, რადგანაც ამ განზომილებებს შორის საზღვრები ერთმანეთთან შერწყმულია და ყოველი მათგანის მაცხოვრებელს შეუძლიათ გადაადგილდნენ ამ სამი განზომილების ფარგლებში.

ეს ნიშნავს იმას, რომ მაგალითად, მეექვსე განზომილების სულებს, საკუთარი სურვილისა და გარკვეულ პირობებში, შეუძლიათ გადავიდნენ მერვ

განზომილებამდე, ხოლო მერვე განზომილების მკვიდრთ შუქლიათ ჩამოეშვან მეექვსე განზომილებაში იქ მყოფი სულების განსანათლებლად. და სამუშაო მეცხრე განზომილების არსებებისა მდგომარეობს იმაში, რომ შეამცირონ, ან პირიქით გაზარდონ ვიბრაციები ამ პიროვნებებისა, რომლებსაც გადაადგილება სურს.

მეათე განზომილება არის ის ღვთაებრივი სივრცე, სადაც გვხვდება პლანტის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც განვითარების ძალიან მაღალ დონეზე არიან. ეს გალაქტიკათამორისი საბჭოა, რომელიც აკვირდება უფრო დაბალ განზომილებებში მყოფი პლანეტების მდგომარეობას. ის იღებს გადაწყვეტილებებს მათი მდგომარეობის კორექტირებისა, თუ ამაში არსებობს აუცილებლობა, ანუ თუ მათზე არსებული სიტუაცია გალაქტიკის სხვა პლანეტებს საბრთხეს უქმნის.

მეთერთმეტე განზომილება – მამა ღმერთის სამკვიდრებელი ადგილი, თქვენი დედამიწის “მაყურებლისა”, რომელიც ასრულებს უმაღლეს ხელმძღვანელობას მის მიმართ და ათი განზომილებისა, რომელიც მას (დედამიწას) გარშემო ერტყმის.

და საბოლოოდ მეთორმეტე განზომილება – ეს ჩემი საცხოვრებელი ადგილია, საიდანაც მე შემიძლია თვალყური ვადევნო არა მხოლოდ თქვენ დედამიწაზე მომხდარ მოვლენებს, არამედ თქვენს გალაქტიკაში და მთელს სამყაროში.

მე მსურს, ჩემო ძვირფასებო, რომ გქონდეთ სრული წარმოდგენა დედამიწის ნატიფი დონისა, რათა დაინახოთ, როგორი ფართო ჰორიზონტი იშლება თქვენს წინ და რომ არ არის არავითარი საზღვარი თქვენი სულიერი ზრდისათვის, რომ ყველა თქვენგანს შუქლია გახდეს ღმერთი.

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან, ჩემი საყვარელი შვილის მერმეოებით

## **დედამიწის ნატიფი და მკვრივი (ფიზიკური) დონეების ურთიერთქმედება ანუ არეკვლის კანონი**

**მამა აბსოლუტის გზავნილი 17 თებერვალი 2016 წ.**

მოგესალმებით ჩემო საყვარელო შვილებო !

ის, თუ რაზეც იყო საუბარი ორ ჩემს წინა გზავნილში (ენერგიისა და დედამიწის ნატიფი სამყაროს თორმეტ დონეზე) იყო დასაწყისი ჩვენი საუბრისა

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

სამყაროს მოწყობის შესახებ. და მე დღეს მსურს, რომ გავაგრძელო ის და გავჩერდე იმაზე, თუ როგორ აისახება ყოველი ეს დონე დედამიწის ფიზიკურ სამყაროში, ანუ ყოველ თქვენგანზე.

დავიწყით იქიდან, რომ სამყაროში აბსოლუტურად ყველაფერი ურთიეთკავშირშია და არც ერთ წუთს არ ჩერდება მათ შორის ენერჯის გაცვლა. სწორედ ეს პროცესი ახდენს კოლოსალურ გავლენას სამყაროს ყოფის ყოველ პროცესზე.

ამიტომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქციოთ ყოველ თქვენს სიტყვას, ემოციას და იმპულსს, რომელიც თქვენს სულში წარმოიქმნება. იმიტომ, რომ ეს გემნით არა მხოლოდ თქვენ, თქვენს დედამიწას, თქვენს გალაქტიკას, არამედ საბოლოო ჯამში თქვენს სამყაროსაც.

ელა განვიხილოთ, თუ როგორ აისახება თქვენზე და დედამიწაზე მისი პირველი ორი დონე, რომელიც არის ყველაზე გულისამრევი, ყველაზე მდაბალი ადამიანური სურვილების, ადამიანში არსებული ყველა ნაკლის კონცენტრაცია, ყველაზე ნეგატიური ენერჯის გროვა.

არეკვლის კანონის წყალობით, ხდება ურთიერთ გაცვლის მუდმივი პროცესი და მისი თავიდან არიდება შეუძლებელია. ერთადერთი, რაც ადამიანს შეუძლია, რომ შეაჩეროს ეს შეუწყვეტელი ნეგატიური ენერჯის ნაკადი არის ის, რომ შეცვალოს საკუთარი უარყოფითი ფიქრები და ემოციები და გარდაქმნას დადებითად. ასევე განთავისუფლდეს საკუთარი ნაკლებისგან და მდაბალი სურვილებისგან, შეცვალოს ისინი ღვთაებრივი მისწრაფებებით, ჭეშმარიტი სიყვარულით და არა ცხოველური ინსტინქტებით. სხვა გზა არ არის მოცემული.

და მაშინ, ნელ-ნელა, დედამიწის ნატიფ სამყაროში დაგროვილი მთელი ბოროტება შეწყვეტს მატერიიდან საკვების მიღებას და განეიტრალდება სინათლისა და სიყვარულის ენერჯიაში. და თავის მხრივ ამ ენერჯის დედამიწაზე შემოსვლაც შეწყდება.

თქვენ იტყვით, რომ ეს ხანგრძლივი და საკმაოდ უტოპიური პროცესია. მაგრამ ყველაფერი ხომ ყოველ თქვენგანზეა დამოკიდებული. რაღათქმაუნდა ყველა ადამიანი ასე სწრაფად ვერ შეიცვლება, მაგრამ თუ გასხივოსნებული ადამიანების რაოდენობა გადაწონის იმათ, ვინც ჯერ “არ გაღვიძებულა”, მაშინ უკვე ეს ქნება საკმარისი რათა სასწორის პინები სინათლის მხარეს გადაიხაროს. ეს კი შეძლებს დაბალ დონეებში დაგროვილი ნეგატივის ნეიტრალიზებას.

მესამე, ეგრეთ წოდებული “ნეიტრალური” დონე, მიუხედავად იმისა, რომ ის არ მოიცავს ისეთი სიძლიერის ნეგატიური ენერჯის მუხტს, როგორც პირველი ორი, მაინც ახდენს დედამიწაზე საკმაოდ ნეგატიურ გავლენას, რადგანაც კვებავს მის ღუალობას.

რას ნიშნავს ეს? ენერჯია დაყოფისა, რომელიც ჩვეულია ადამიანებისა როგორც მატერიაში ასევე ნატიფ დონეზე ყოფნისას, აგრძელებს საკუთარ



დამანგრეველ სამუშაოს და უნერგავს ადამიანებს თავში ისეთ იდეებს, როგორიცაა “ახლობელი-უცხო” “კარგი-ცუდი”, “კეთილი-ბოროტი”, “ღარიბი-მდიდარი” და ასე შემდეგ.

და ეს ურთიერთ გაცვლა “დუალური” ენერგიებით არის სულიერ განვითარებაში დიდი წინაღობა პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის. ისინი აგრძელებენ ცხოვრებას საუკუნეებით ჩამოყალიბებული წესებით, კანონებით და ტრადიციებით.

იმისათვის, რომ გაირღვას ეს დაწყევლილი წრე, ადამიანებს უწევთ დიდი ძალისხმევის გაწევა, საყოველთაო ნორმების წინააღმდეგ წასვლა, “დინების წინააღმდეგ ცურვა”, საკუთარი შინაგანი ხმის მოსმენა, და არა იმის, რასაც გარედან ახვევენ თავს.

და მხოლოდ მეოთხე დონის ენერგიას მოაქვს დადებითი საწყისი. ეს არის იმ ვიბრაციების ენერგია, საიდანაც იწყება ახალ საწყისთან სვლა, როცა სული იღვიძებს და საკუთარი წარმოშობის გახსენებას იწყებს, რომელიც საუკუნო და ღვთაებრივია.

ამ ენერგიების გავლა ეხმარება როგორც წასლუ, ასევე ცოცხალ ადამიანებს, რადგანაც აამაღლებს მათ სულს. როგორ ხდება ეს?

ისინი, ვინც წავიდნენ და გაიცნეს ცხოვრება ფარდის იმ მხარეს, ვისაც გაეხსნა ჭეშმარიტება მისი მთელი მოცულობით, ინტუიციურად იწყებენ ამ ენერგიის, ამ ცოდნის გამოგზავნას მატერიაში დარჩენილ ადამიანებთან და განსაკუთრებით საკუთარ ახლობელ და საყვარელ ადამიანებთან. და ეს ძალიან ეხმარება მათ გააკეთონ სწორი არჩევნები, ამდიდრებს მათ სულიერად, გადაჰყავს ისინი ცნობიერების ახალ დონეზე.

და ისინი თავის მხრივ იწყებენ სიყვარულის გაგზავნას საკუთარი გარდაცვლილების მიმართ, ავსებენ მათ სინათლით და არა მწუხარებით, რომელიც ასე ამძიძებს დედამიწის ნატიფ დონეზე ვყოფ გადრაცვლილ სულთა ცხოვრებას, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა დაამშვიდონ საკუთარი ახლობლები და საყვარელი ადამიანები, რომლებიც მატერიაში დარჩნენ.

მეხუთე განზომილების ენერგიას აქვს უკვე უფრო მეტად ფართო დიაპაზონი საკუთარი გავლენისა, რადგანაც სულსების ცნობიერების დონეს (როგორც მატერიაში ასევე ნატიფ დონეზე მყოფების) შეუძლია გავლენა იქონიოს უფრო ფართო მასებზე.

ეს არის შემოქმედების დონე და სამყაროსა და მისი კანონების უფრო ღრმა შეცნობისა. და ამ სულსების (როგორც ფიზიკური ასევე ნატიფი დონისა) ენერგიების გაცვლას მიყვარტ ურთიერთ გამდიდრებამდე და ვიბრაციების დონის გაზრდისკენ ორივე მხარის მიმართ.

მატერიაში მყოფი ადამიანები, რომლებიც მეხუთე განზომილების ვიბრაციას ფლობენ, იწყებენ მსახურებას. ამგვარად ისინი მალეა წევნ არა

მხოლოდ საკუთარ ცნობიერებას, არამედ სხვა ადამიანების გონებასაც, რომლებიც ამის გასაკეთებლად პოტენციურად მზად არიან.

ამ ადამიანებს გამოსდით პირველი ნაბიჯის გადადგმა საკუთარ ეგოზე გასამარჯვებლად, საკუთარი თავის სამყაროს ნაწილად გასაცნობიერებლად, საკუთარი პასუხისმგებლობის გასაგებად იმის მიმართ, თუ რაც ხდება სამყაროში.

მეექვსე და მეშვიდე განზომილება არის ერთგვარი უნივერსიტეტი, იმ სულებისათვის, რომლებმაც შეძლეს მეხუთე განზომილების გამოცდილების გავლა.

ამ დონეზე მათ შეუძლიათ დაინახონ სამყარო ღმერთკაცის თვალებით, შეიგრძნონ ერთობა და ენერგო ურთიერთშედრწევა მისი ყოველი ნაწილისა, დაინახონ ყველა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, გაიაზრონ დედამიწაზე მომხდარი მოვლენების ღრმა აზრი.

და თუ მატერიაში მყოფი ადამიანები დაიწყებენ გაცნობიერებულ მუშაობას სამყაროს შეცვლისაკენ მიმართულს ამ ნატიფ სამყაროში მყოფ სულებთან ერთად, რომლებმაც ზეცაში აირჩიეს მსახურება ადამიანების დასახმარებლად, მაშინ ამას შეუძლია მოგვცეს გასაოცარი და სწრაფი შედეგები დედამიწის ახალი, მაღალვიბრაციული ენერგიებით აღვსებაში და ასევე ადამიანთა გონების შეცვლაში. ეს სამუშაო უკვე დაწყებული და მე ვხედავ, რამდენად ამაღლებს ის ადამიანის სულებს ფარდის ორივე მხარეს მყოფებს და როგორ შეუფასებელ დახმარებას უწევს დედამიწას, როგორ ეხმარება ის მას მეხუთე განზომილებაში გადასასვლელად.

დედამიწაზე მძლავრი ნაკადით ჩამოსული მაღალი ვიბრაციები ეხმარება ბევრ ადამიანს, რომლებიც საკუთარი სულიერი განვითარების მაღალ დონეზე ავიდნენ, მიიღონ ინფორმაცია სუფთა წყაროდან. ბევრს ეხსნება შესაძლებლობა ნათელხილვისა, “ნათელმოსმენისა”, ტელეპათიური კავშირისა სამყაროს ზეციურ ძალებთან.

მერვე განზომილებამ, დონე წმინდანებისა და ამაღლებული ოსტატებისა, სწორედ ახლა დაიწყო განსაკუთრებული მნიშვნელობის შექმნა, რადგანაც ბევრი სული ჩამოეშვა მანდდან დედამიწაზე მისთვის საბედისწერო პერიოდში.

მაგრამ აქ ენერგო გაცვლა ხდება უკვე სრულიად სხვა დონეზე, რომლის ახსნაც რთულია მატერიალური რეალობიდან გამომდინარე, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში ირთვება უკვე საკრალური პროცესი, რომელიც ამ სულებს ეხმარება ბოლომდე შეასრულონ მისია, რისთვისაც მოვიდნენ დედამიწაზე.

და ეს სულები არიან ზეციური ძალების ყურადღების ქვეშ, რომლებიც იცავენ მათ, ეხმარებიან მათ, მიჰყავთ ისინი და არიან მათთან მუდმივ კონტაქტზე.

სწორეთ მათი მერშვეობით გადმოიცემა ტელეპარიურად ინფორმაცია სუფთა წყაროდან მესამე განზომილების ადამიანებისათვის, რათა გადაიყვანონ ისინი სულიერი განვითარების ახალ დონეზე, მოუყვენენ მათ, თუ რა ელოდება

დედამიწას და მის მაცხოვრებლებს და რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ამაღლდნენ მასთან ერთად მეხუთე განზომილებაში.

ამაზე არის ახლა გადასროლილი სამყაროს ყველა ზეციური ძალა.

მეცხრე განზომილების დედამიწასთან ურთიერთქმედება მდგომარეობს იმაში, რომ არსებები, რომლებიც მანდ ცხოვრობენ, აკონტროლებენ ვიბრაციის გადანაწილებას არა მხოლოდ ნატიფ, არამედ მატერიალურ დონეზეც. მათი სამუშაო მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები, რომლებიც ცნობიერების ახალ დონეზე გადავიდნენ, გადავიდნენ ახალ ვიბრაციებზე მსუბუქად და ჰარმონიულად, საკუთარი ორგანიზმისა და ფსიქიკური მდგომარეობის დაზიანების გარეშე.

ისინი იცავენ ბალანსს თქვენს ფიზიკურ სხეულსა და ნატიფ სხეულებს შორის. ისინი უზრუნველყოფენ თანაბარ ვიბრაციულ ნაკადს, რაც გეხმარებათ, ძალიან მაღალ ვიბრაციებში ყოფნის მიუხედავად, გააგრძელოთ ცხოვრება და მუშაობა მესამე განზომილებაში და არ იგრძნოთ ის კოლოსალური ენერგეტიკული გადატვირთვა, რაც გარდაუვალი იქნებოდა, თუ ამ პროცესში არ ჩაერევოდნენ თქვენი შეუცვლელი დამხმარენი მეცხრე განზომილებიდან.

და აი ჩვენ მივედით მეათე განზომილებამდე, რომელშიც იკრიბება “შეხვედრებზე” საერთო გალაქტიკური საბჭო, რომლის მნიშვნელობის გაზვიადებაც შეუძლებელია.

მათმა გადაწყვეტილებებმა და შემდგომმა მოქმედებებმა უკვე არაერთხელ იხსნა თქვენი დედამწა გარდაუვალი სიკვდილისგან. ისინი კურირებენ დედამიწაზე მომხდარ ყველა მოვლენას, თვალყურს ადევნებენ მათ ხიფათის დონეს იმისათვის, რომ დროულად შეაჩერონ ის და არ დაუშვან დედამიწისათვის კატასტროფიკული შედეგები.

შემიძლია ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გითხრათ, რომ მხოლოდ მათი წყალობითაა დედამიწა კიდევ ცოცხალი და საკუთარი ყოფიერების ახალ დონეზე გადადის.

ისინი არიან თქვენი მცველები და გადამრჩენელები, თქვენი მფარველები და მასწავლებლები, რომლებიც დაგეხმარებიან მეხუთე განზომილების დედამიწაზე დამკვიდრდეთ. და მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე დიდი ხანია ცხოვრობენ უფრო მაღალ განზომილებაში, მათ კარგად ახსოვთ საკუთარი გამოცდილება დიდებული გადასვლისა და სიამოვნებით გაგიზიარებენ მას. ამჟამად ბევრი მათგანი გამოდის დედამიწელებთან კონტაქტში, მათთან, ვისაც შეუძლია ტელეპატიურად კონტაქტი და მათი მერძეობით გადმოსცემენ მნიშვნელოვან და თანამედროვე ინფორმაციას. ამით ისინი ამზადებენ ადამიანთა გონებას იმისათვის, რომ ისინი არ არიან ერთადერთი გონიერი არსებები სამყაროში, და რომ ბევრი პლანეტა დასახლებულია და ბევრი ინტელექტუალური არსება არ არის მათი მტერი, არამედ მეგობარი, რომელიც მზადაა გაუწოდოს დახმარების ხელი და სიხარულითა და სიყვარულით მიიღოს ისინი საკუთარ დიდ გალაქტიკურ ოჯახში.

მამა ღმერთი, რომელიც მეთერთმეტე განზომილებაში მკვიდრობს და ასევე მე მეთორმეტე განზომილებიდან, ადამიანების მერშვობით, რომელთა ვიბრაციებიც ნებას აძლევს მიიღონ ჩვენგან წამოსული ინფორმაცია, ვცდილობთ ავიყვანოთ ადამიანები მაქსიმალურად ახალ დონეზე სულიერი განვითარებისა. ამას ვახერხებთ სტატიების გამოგზავნით, რომლებიც მოვლენების ჭეშმარიტ არსს ფარდას ხდის და მათ გონებას საჭირო გზისკენ მიმართავს.

ჩვენ ასევე ვგენერირებთ და ვაგზავნით დედამიწაზე მაღალი ვიბრაციების ენერგიებს, რომელთა მიზანიც თქვენი ფიზიკური სხეულის ტრანსფორმაციაა და ასევე თქვენი ცნობიერების ამაღლება მაქსიმალურად მაღალ დონეზე. ეს დაგეხმარებათ თქვენ ამაღლდეთ დედამიწასთან ერთად და დაბრუნდეთ თქვენს ღვთაებრივ საწყისთან.

ჩვენ ასევე გვესმის ყოველი თქვენი თხოვნა, თქვენი სულის ყოველი ძახილი და თუ ვხედავთ, რომ თქვენი სული მზადაა დახმარების მისაღებად და დახმარება წაგადგებათ, ჩვენ ყოველთვის გიწევთ მას. მაგრამ ადამიანის ცნობიერების დონიდან ძალიან ნატიფი გასარჩევია, თუ რა იქნება მისთვის სიკეთე და რა ბოროტება, რადგანაც არ შეგიძლიათ იხილოთ მომხდარის სრული სურათი, ამიტომ ზოგჯერ გეჩვენებათ ხოლმე, რომ ღმერთს თქვენი არ ესმის. მას ესმის თქვენი, ჩემო ძვირფასებო, მაგრამ მან, თქვენგან განსხვავებით, იცის ზუსტად, რაც გჭირდებათ თქვენი ცხოვრების მოცემულ მომენტში. რომელი გაკვეთილის გავლენა აუცილებელია, რა უნდა გაიგოთ ახალი და რა დასკვნა უნდა გააკეთოთ.

ამიტომაც მიიღეთ მაღლიერებით ყველაფერი, რაც ხხდება თქვენს ცხოვრებაში: ცუდიც და კარგიც, რადგანაც ყველაფერი ეს სულის შეუფასებელი გამოცდილებაა, რაც გეხმარებათ თქვენი ყოფიერების ახალ დონეზე გადასვლაში.

როგორც ხედავთ, ჩემო საყვარლებო, დედამიწის ნატიფი დონიდან დახმარება მოგდით ძალიან დიდი და მხოლოდ თქვენი ნებაა როგორ გამოიყენებთ მას: მიიღებთ თუ უარყობთ, წახვიდეთ ამაღლებისა და საკუთარი თავის ღმერთკაცად გაცნობიერებისკენ თუ იცხოვროთ ინერციით – როგორც შეეჩვიეთ და არაფერი შეცვალოთ ცხოვრებაში.

არჩევანი ყოველ თქვენგანზეა და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ იქნება ის სწორი, ისეთი, როგორიც სურს თქვენს ღვთაებრივ სულს.

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო და ძალიან მიყვარხართ!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერშვობით!

## მთვარე

### მამა აბსოლუტის გზავნილი 19 თებერვალი 2016წ.

მოგესალმებით ჩემო საყვარელო შვილებო!

დღეს მე გავაგრძელებ ჩემს თხრობას სამყაროს მოწყობაზე და ამ ჯერზე მე მსურს დაწვრილებით გაჩერდე თქვენი პლანეტის სხვა ციურ სხეულებთან ურთიერთქმედებაზე.

და დავიწყოთ მთვარით, რომელიც არის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. დიდი ხნის მანძილზე თქვენი მეცნიერები მას ბუნებრივ თანამგზავრად თვლიდნენ, რადგანაც არ შეეძლოთ მისი წარმოშობის განსაზღვრა. რეალურად კი ის შეიქმნა ჩემს მიერ, რათა დედამიწაზე ელექტრო-მაგნიტური ცვლილებების დონე გაეკონტროლებინა და აუცილებლობის შემთხვევაში დაერეგულირებინა ის.

მე ამაზე დაწვრილებით გაჩერდები, რადგანაც მესმის, თუ რამდენად ახალი და უჩვეულო ინფორმაციაა ეს თქვენთვის. რას წარმოადგენს მთვარე?

ეს პლანეტა პრაქტიკულად არ არის დასახლებული, რადგანაც მას სუბთა დამხმარე მნიშვნელობა აქვს. დროსთან ერთად, დედამიწასთან მუდმივი და ძლიერი ურთიერთქმედების შედეგად, მან ცოტათი შეიცვალა საკუთარი პარამეტრები და გახდა, გარკვეულ მხრივად, მიწიერი ანარეკლი.

ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ის ახდენს ზეგავლენას დედამიწაზე, არამედ დედამიწამაც დაიწყო მისთვის ენერჯის მიცემა. მსგავსი ენერგოცვლილების შედეგად, ფორმირდა მთვარის ციკლები, რომლების მიზნის შესაბამისად გამოყენება დაიწყო ადამიანებმა.

რატატქმუნდა ეს არ მოხდა ეგრევე. დიდი დროის განმავლობაში მთვარე წარმოადგენდა ადამიანებისთვის გამოცანას და ასევე შემაშინებელ პლანეტასაც. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ასოცირდებოდა ის ყოველთვის ღამესთან და იმიტომ, რომ ის ყოველთვის იცვლიდა საკუთარ გარეგნობას და ზომებს.

პირველყოფილ ადამიანებზე ის იწვევდა მისტიკურ პანიკას, მაგრამ დედამიწაზე მაღალგანვითარებული ცივილიზაციების გამოჩენასთან ერთად – ისეთების, როგორების იყვნენ ატლანტები და ლემურიანელები, ამ ციური “მნათობის” შესწავლით დაკავდნენ მათი საუკეთესო მოაზროვნეები – ქურუმები და ასტრონომები.

და ზუსტად მათ დაწვრილებით შეისწავლეს მთვარის ციკლები და შექმნეს პირველი მთვარის კალენდრები.

რითი აიხსნება მთვარის ასეთი ძლიერი გავლენა მატერიაში?



დავინწყით იქიდან, რომ ის როგორც გუფკა, იწოვს ზედმეტ ელექტრო-მაგნიტურ ვიბრაციებს, რომელიც დედამიწიდანაა გამოსხივებული. ამგვარად ის იცავს ენერგეტიკულ ბალანსს და ჰარმონიულ მდგომარეობას როგორც დედამიწისა, ასევე მისი მაცხოვრებლებისაც. ეს პროცესი ძალიან რთულია თქვენთვის გასაგებად, ამიტომ გადმოგცემთ მას მხოლოდ ხოგადი სახით.

მთვარის ციკლები, რომლებიც ადრე 21 დღეს შეადგენდა, იყო ურთიერთქმედება ელექტრო-მაგნიტური “აღელვებისა” რომელიც ხდებოდა ერთდროულად დედამიწაზეც და მთვარეზეც. ასეთი სინქრონულობა ითვალისწინებდა ენერგეტიკული ბალანსის შენარჩუნებას.

ის, რომ დროთა განმავლობაში მთვარის ციკლები შეიცვალა, აიხსნება იმით, რომ დედამიწისა და მთვარეს შორის მანძილი თანდათანობით გაიზარდა. შესაბამისად მთვარის მდგომარეობა დედამიწასთან მიმართებაში ვიზუალურად შეიცვალა. ამგვარად, მთვარის ციკლები გაიზარდა და შეადგენს თითქმის 30 დღეს.

სავსემთვარეობა და ახალმთვარეობა არის პიკი ამ ორი პლანეტის ურთიერთობისა. სწორედ ამიტომ ბევრი ადამიანი ასე ხშირად აღითქვას მას საკუთარი ფიზიკური მდგომარეობით.

იმასთან ერთად, რაც დედამიწა მეხუთე განზომილებაში გადავა, შეიცვლება მთვარის პარამეტრებიც, მისი ვიბრაციებიც ასევე გაიზრდება, რადგანაც ის სრულიად დამოკიდებულია დედამიწის ვიბრაციებზე და მის ელექტრო-მაგნიტურ რხევებზე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დედამიწა და მთვარე წარმოადგენენ ერთ ორგანიზმს, და ყოველი ცვლილება მის ერთ ნაწილზე მაშინვე აისახება მეორეზეც.

ის, რასაც ახლა გეტყვით თქვენთვის მოულოდნელი იქნება, მაგრამ, გთხოვთ, მიიღოთ ის გაგებით.

მთვარე მალე შეწყვეტს თქვენთვის მნიშვნელოვანი როლის თამაშს, რადგანაც დედამიწას, როცა მთლიანად შეიცვლის საკუთარ პარამეტრებს და შევა ახალ რეალობაში, აღარ დასჭირდება ის.

მე არ დაწვრილმანდები, მაგრამ გეტყვით მხოლოდ იმას, რომ დედამიწა მეხუთე განზომილებაში სრულიად გადავა თვითრეგულაციაზე და მისი ელექტრო მაგნიტური ტალღების ამრეკლავი მთვარის სახით აღარ დასჭირდება.

მას ეყოლება სხვა თანამგზავრი, რომელზედაც ჯერ ადრეა საუბარი, მაგრამ რომელიც გარკვეული მხრივ შეცვლის მთვარეს, მაგრამ უკვე სრულიად სხვა ამპულაში.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთვარე შეწყვეტს არსებობას. მაგრამ ის შეიცვლის საკუთარ ორბიტას და გახდება უკვე სხვა პლანეტის ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც მესამე განზომილებაშია და რომელიც იქმნება ეხლა იმ ადამიანებისთვის, ვინც ვერ შეძლებენ ამაღლდნენ დედამიწასთან ერთად და ვისი

სულელებიც დაიბადებიან ამ ახალ პლანეტაზე, რათა გააგრძელონ მესამე განზომილებაში ცხოვრების გამოცდილების გავლა.

ყველაფერი ეს მოხდება ძალზედ თანმიმდევრულად, იქამდე, სანამ დედამიწა სრულიად არ გადავა მეხუთე განზომილებაში ყველა იმ სულთან, რომლებსაც შეეძლებათ მასთან ერთად ამალღება.

ჭეშმარიტად ეს დიდებული ექსპერიმენტიც, რომელიც წარმოშობს პლანეტარული მამულის ცვლილებებს თქვენი გალაქტიკის ფარგლებში და მე მსურს, რომ თქვენ ამის შესახებ გცოდნოდეთ ჩემო ძვირფასებო.

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერშვობით!

გზავნილი მიიღო მართამ 19 თებერვალი 2016 წ.

## მზე

### მამა აბსოლუტის გზავნილი 20 თებერვალი 2016წ.

გამარჯობათ ჩემო ძვირფასო შვილებო!

ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს საუბარს და დღეს მე მოგიყვებით ციურ მნათობზე, რომელიც დედამიწისთვის განუყოფელი ნაწილია, რომლის გარეშეც მას არსებობა არ შეუძლია. როგორც უკვე მიხვდით, საუბარი შედგება მზის შესახებ. რას წარმოადგენს ის?

ეს ციური მნათობი არის უნიკალური პლანეტა, რომელმაც საკუთარი თავი “მსხვერპლად შეწირა” სხვებსე სიცოცხლის წარმოსაქმნელად. ის თავდაპირველად შეიქმნა, როგორც სინათლის წყარო. ეს თქვენი გალაქტიკის მაღალი ძაბვის “ელექტრული ნათურაა”, რომელიც მუდმივ რეჟიმში ანათებს და არის სიცოცხლის წყარო არა მხოლოდ თქვენს პლანეტაზე, არამედ ბევრ სხვაზეც. ის, რაც ამ პლანეტაზე ხდება ენით ვერ აღიწერება, რადგანაც ეს ნამდვილად ცოცხალი ფრქვევადი ლავაა, რომელიც კოლოსალურ ენერგიას ასხივებს. ამ ენერგიას, დედამიწამდე მოსულსაც კი, შეუძლია დაწვას ყველაფერი რაც იქნება მის ზეგავლენაში დიდი ხანი.

მზე მდებარეობს თქვენგან ისეთ სიშორეზე, რომელიც ნებას აძლევს ბალანსირებულად გადაანაწილოს თავისი ენერგია. და თუ ადრე ეს ბალანსი საკმაოდ პირობითი იყო, რადგანაც არსებობდა ქვეყნები მზის ენერგიის ზედმეტობითა და არასაკმარისობით, ახლა, როცა დედამიწა შედის მეხუთე განზომილებაში, კლიმატი მასზე შეიცვლება ისე, რომ თქვენი პლანეტა მთელი

ზედაპირი და მისი ყოველი ნაწილი თანდათანობით მიიღებს მზის ენერჯის იმ რაოდენობას, რომელიც აუცილებელია მისი ჰარმონიული განვითარებისთვის.

და თქვენ ყველამ უკვე შეამჩნიეთ ასეთი ცვლილებები. მათი არ უნდა გეშინოდეთ. ეს კარგის მაჩვენებელია. ყველა ბუნებრივი ანომალია, რომელიც ახლა გვხვდება დედამიწაზე, კავშირშია ზუსტად ამ გარდაქმნასთან – მზის ენერჯის გადანაწილებასთან. სამწუხაროდ ის ვერ ხდება იდეალურად და რბილად იმის გამო, რომ ძალიან ბევრი ცვლილება მიდის ახლა დედამიწაზე ერთდროულად: იცვლება მისი ვიბრაციები, იცვლება ადამიანების ცნობიერება, მიდის დედამიწის და ყველა მისი ნატიფი სხეულის განწმენდის მძლავრი პროცესი. და მზის ენერჯის გადანაწილება არის ერთ-ერთი ასეთი პროცესი.

როგორც უკვე ითქვა ჩემს გზავნილში მეორე მზის გამოჩენაზე, ამჟამინდელი მზე ატარებს კაცურ ენერჯიას, რომელიც საკმაოდ აგრესიულია და ძლიერია. ხოლო მისი შერბილება და სრული ჰარმონიზაცია შეუძლია მეორე მზის გამოჩენას, მისი მეორე ნახევრის – “ქალურ” მზეს. ის მოიტანს დიდ წვლილს მზის ენერჯის ბუნებრივ შერბილებაში და გადანაწილებაში მთელს დედამიწაზე.

და ზუსტად მეორე მზის გამოჩენა დააჩქარებს თქვენს პლანეტაზე კლიმატის შეცვლას. ეს დედამიწის ერთი განზომილებიდან მეორეში გადასვლის ერთ-ერთი პუნქტია. და როდესაც ის საბოლოოდ გადავა მეხუთე განზომილებაში და მის ჰორიზონტზე გამოჩნდება ორივე მზე, კლიმატი დედამიწაზე იქნება ზუსტად ისეთი, რომელიც ხელს შეგიწყობთ სრული ფიზიკურ და სულიერ კონფორტში.

და ეს თავის მხრივ დაგეხმარებათ შემოქმედებით დაკავდეთ განახლებული პლანეტის ყველა მაცხოვრებლის სასიკეთოდ, დატკბეთ ჰარმონიითა და სიწყნარით და ამასთან ერთად არ იფიქროთ საყოფაცხოვრებო წვრილმანებსა და მკაცრ პირობებში გადარჩენაზე.

დღეს ამაზე გავჩერდებით.

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერშვეობით.

## გალაქტიკის უცხოპლანეტური ცივილიზაციები

**მამა აბსოლუტის გზავნილი 22 თბრვალი 2016წ.**

გამარჯობათ ჩემო ძვირფასო შვილებო!

დღეს ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს საუბარს სამყაროს აგებულების შესახებ. და ამჯერად მე მსურს თქვენი ყურადღება გავამახვილო პლანეტა დედამიწისა და თქვენი გალაქტიკის სხვა პლანეტების ურთიერთქმედების თავისებურებებზე.

სულიერი განვითარების ცენტრი “ალორძინება”

ის, რომ ბევრი მათგანი დასახლებულია, როგორც თქვენი დედამიწა, ვიმედოვნებ, რომ თქვენთვის სასიამოვნო სიურპრიზი იქნება. თითქმის ყვლეა უცხოპლანეტური ცივილიზაცია, მცირე გამონაკლისების გარდა, არის სულიერად თქვენზე უფრო მაღალ განვითარებული. ეს აიხსნება იმით, რომ დედამიწა ბევრად გვიან წარმოიქმნა, ვიდრე მათი პლანეტები და მათ, თქვენგან განსხვავებით, გაიარეს ევოლუციური განვითარების ძალიან გრძელი გზა.

და ახლა, როდესაც დადგა დრო თქვენთვისაც ახალ დონეზე გადასლისა და დედამიწა მნიშვნელოვნად მოძრაობს ამ მიმართულებით, ისინი, როგორც თქვენი უფრო გამოცდილი დები და ძმები, მზად არიან გახდნენ თქვენი მასწავლებლები და მენტორები სამყაროს სხვა ნათელ ძალებთან ერთად.

თქვენ უკვე იცით ბევრი მათგანის შესახებ, რადგანაც ისინი ადამიანებს უგზავნიან შეტყობინებებს უკვე მრავალი წელია. ისინი ამას ახერხებენ იმ ადამიანების მერძეობით, ვისაც კონტაქტის ტელეპათიური არხი აქვს გახსნილი.

ესენი არიან პლეიადის, ანდრომედის, სირიუსისა და არკტურის პლანეტათა მცხოვრებნი. ამ პლანეტების წარმომადგენლები შედიან გალაქტიკის საბჭოში და იმუშავენ მოქმედების ერთობლივ გეგმას იმ შემთხვევაში, თუ თქვენს პლანეტას საბრთხე დაემუქრება. მაგრამ თქვენი მეგობრებისა და მფარველების გარდა არის სხვა პლანეტები, რომლების არიან საკუთარი განვითარების იმ სტადიაზე, როცა ტექნოლოგიებმა მიაღწიეს ძალიან მაღალ დონეს, ხოლო სულიერი განვითარება ნებას არ აძლევს საჭირო სიმაღლეზე ასასვლელად.

თქვენთვის ნაცნობი პლანეტებიდან ამ კატეგორიას მიეკუთვნება ალფა ცენტავრის პლანეტა. ამ პლანეტის მაცხოვრებლები დედამიწას უყურებენ, რომგორც გამოსაცდელ პოლიგონს და ისინი არც თუ ისე იშვიათად იტაცებენ ადამიანებს სამედიცინო ექსპერიმენტების მიზნით. მათ არ შეუძლიათ მიაყენონ დედამიწას განსაკუთრებული ზიანი, და ისინი არც ისახავენენ ასეთ მიზნებს. ადამიანების გატაცებასაც ისინი თვლიან როგორც უბოროტო გართობას, მით უმეტეს, რომ ყველაზე ხშირად უკან აბრუნებენ და არანაირ ზიანს არ აყენებენ, პირიქით ხშირად სერიოზული დაავადებებისგანაც კურნავენ.

რატომ გიყვებით ამის შესახებ დღეს? საქმე ისაა, რომ ახლოვდება დრო, როცა უცხოპლანეტელების შესახებ ინფორმაცია გაჟღერდება თქვენს მასმედიაში და თქვენ უნდა იცოდეთ, რომ უმეტესობა უცხოპლანეტული ცივილიზაცია თქვენი მეგობარია და არა მტერი და მათ ყველაზე ნაკლებად ესურვებოდათ, რომ შეხვედროდით პანიკითა და შიშით, რაც უკვე მომხდარა არაერთხელ, როცა ცაზე მათი საფრენი აპარატი გამოჩენილა.

ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში გიმალავდნენ სიმართლეს აიხსნება იმით, რომ ოფიციალურ პირებს არ აწყობდათ ადამიანებისათვის მოეყოლათ, რომ სამყაროში მარტონი არ არიან და რომ თქვენ ბევრი დამხმარე და მეგობარი გყავთ, რომლებიც მზად არიან გააკეთონ ყველაფერი, რაც მათ ძალებში შედის, რომ

გაგანთავისუფლონ სულიერი მონობისგან და განვითარების ახალ დონეზე გადაგიყვანონ.

მაგრამ ახლა, როდესაც დედამიწა მდგრად მიიწევს მეხუთე განზომილებაში და გზა უკან უკვე აღარ არის, ისინი (ოფიციალური სახეები) ვალდებულები იქნებიან გითხრან სიმართლე. მაგრამ ამას გააკეთებენ უკვე სრულიად სხვა ადამიანები, რომლებიც მალე მოვლენ ხელისუფლებაში და რომლებიც წინ ხალხის ინტერესებს დააყენებენ და არა საკუთარს.

თქვენ დგახართ დიდებული ცვლილებების წინ და მე ძალიან მსურს, რომ შეხვდეთ მათ გულდიად, შიშის გარეშე და სრული ნდობითა და სიყვარულით.

გახსოვდეთ ჩემო ძვირფასებო, რომ თქვენთვის ამ რთულ გარდაქმნის პერიოდში მე სულ თქვენთან ვარ ისევე როგორც სამყაროს ყველა ზეციური ძალა. დარჩით მშვიდები და რაც არ უნდა ხდებოდეს გარშემო, დაე თქვენი ცხოვრების მთავარ თანამგზავრად იყოს სინინათლე და სიყვარული.

გლოცავთ, ჩემო ძვირფასებო და ძალიან მიყვარხართ!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერშვეობით

## პარალელური სამყაროები

### აგარტა და “შვიდი პლანეტა”

**მამა აბსოლუტის გზავნილი აგარტის შესახებ 24 თებერვალი 2016 წ.**

მოგესალმებით ჩემო საყვარელო შვილებო!

მე დღეს გავაგრძელებ საუბარს იმის შესახებ, თუ კიდევ ვინ სახლობს თქვენს გალაქტიკაში იმ უცხოპლანეტური ცივილიზაციების გარდა, რომლების შესახებაც მოგიყევით ჩემს ადრინდელ გზავნილში.

თქვენ უნდა იყოთ მზად, რომ თქვენს ჰორიზონტზე არა მხოლოდ სხვა პლანეტების მაცხოვრებლები გამოჩნდებიან. მათ გარდა არსებობენ თქვენი მეზობლები პარალელურ სამყაროებში, რომლებიც “კედლის მიღმა” მდებარეობს, მაგრამ მათგან განსხვავებით თქვენ ჯერ ვერ ხედავთ მათ და თუ რომელიმე ადამიანი მოხვდა მათ სამყაროში, მაშინ ეს მოხდა გაუცნობიერებლად.



როგორია ეს სამყაროები და ვინ ცხოვრობს მათში?

ბევრ თქვენგანს უკვე სმენია აგარტის შესახებ – ამ სადუმლოებით მოცული მიწისქვეშა სამყაროსი. თავისი აგებულებით ის ყველაზე მეტად გავს თქვენსას იმ განსხვავებით, რომ ის მდებარეობს დედამიწის გარსის მეორე მხარეს.

მაგრამ რეალურად ეს არ არის მიწისქვეშა სამყარო, არამედ მეხუთე განზომილების სივრცე, რომელიც უკვე დიდი ხანია პარალელურად არსებობს. ამ სამყაროში თქვენ იპოვით ყველა რასის წარმომადგენელს, რომელსაც ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე. ეს ერთგვარი ღვთაებრივი “შემნახავი საკანია”.

რისთვის შეიქმნა ის? ძალზედ მარტივდად რომ ავხსნათ, ეს არის ზეცა შებრუნებული, ანუ ეს არავითარ შემთხვევაში არ არის მიწისქვეშეთი (ჯოჯოხეთი) როგორც მცდარად ვარაუდობენ, არამედ გარკვეული ნატიფი სამყარო დედამიწის მეორე მხარეს. იქ ხვდებიან რჩეული სულები გარკვეული მიზნებისათვის. ეს არის დედამიწის ცივილიზაციების “არქივი”. ამ ცივილიზაციებმა ადამიანთა ისტორიაში დიდი კვალი დატოვეს, ის ერთგვარი “ოქროს ფონდია” პლანეტა დედამიწისთვის.

აგარტა შეიძლება შევადაროთ დედამიწას იმ მხრივ, რომ დედამიწის მსგავსად იქაც ცხოვრობს რასებისა და ხალხების დიდი რაოდენობა, მხოლოდ ცნობიერებეს დონე ბევრად მაღლა აქვთ, ეს არის მეხუთე განზომილების დონე.

აგარტაში იპოვით ატლანტებს, ლემურიანელებს, ჰიბერბორიელებს, ოტტეიებს და სხვა მრავალი ცივილიზაციის წარმომადგენელს, რომელთა შესახებაც ჯერ კიდევ არ გსმენიათ, მაგრამ რომლებიც არსებობდნენ დედამიწაზე. მათი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ისინი არ გადაადგილდებიან გალაქტიკაში, როგორც ამას უცხოპლანეტური ცივილიზაციების წარმომადგენლები აკეთებენ, თუმცა მათ აქვთ საკუთარი საფრენი აპარატები. მათი დავალებაა თვალყური ადევნონ დედამიწის ფიზიკურ გარსს და ადამიანთა ქცევა აკონტროლონ. მათთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგანაც მდებარეობენ თქვენთან ახლოს.

თქვენ შეგიძლიათ შეამჩნიოთ მათი საფრენი აპარატები, რომლებიც თითქოსდა მიწის ქვემოდან ჩნდებიან. თქვენს პლანეტაზე არსებობს აგარტაში შესასვლელი ბევრი კარიბჭე და რამოდენიმე ადამიანებმაც იციან. თუმცა ამა ქვეყნის ძლიერნი ამის შესახებ ინფორმაციას საიდუმლოდ ინახავენ.

რით შეიძლება გამოიხატოს თქვენი ურთიერთქმედება აგარტის მაცხოვრებლებთან? რადგანაც თქვენს მსგავსად ისინიც დაინტერესებულნი არიან, რომ დედამიწა გადავიდეს საკუთარი განვითარების ახალ დონეზე მცირე დანაკარგებით, აგარტის მაცხოვრებლებს შეუძლიათ თანამონაწილეობა მიიღონ თქვენს საქმიანობაში.

თქვენ შეგიძლიათ მოიხმოთ ისინი საკუთარ მედიტაციებში დედამიწის გაწმედისა და მისი სიყვარულის ენერგიით ავსების დროს. ისინი სიამოვნებით გამოგებმაურებიან და თქვენ იგრძნობთ მათ ენერგიას – მძლავრს და რბილს ერთდროულად.

## სამყაროს მოწყობა

მომავალში, როდესაც დედამიწა უკვე საბოლოოდ გადავა მეხუთე განზომილებაში, მის ზედაპირზე ამოვა სინათლის ქალაქები, რომლებიც მეხუთე განზომილებაშია. მათ შორის იქნება აგარტაც და მათი მაცხოვრებლები დაეხმარებიან ადამიანებს მათთვის ახალ სამყაროში დამკვიდრებაში.

თქვენი კიდეც ერთი მეზობელია ცივილიზაცია, რომელსაც პირობითად ექვია “შვიდი პლანეტის წარმომადგენლები” და რომელთა გზავნილებიც უკვე წაიკითხეთ. სახელწოდება “შვიდ პლანეტაში” მოისაზრება მათი დიდი ხომალდები რომლებიც ნამდვილად გვანან მცირე პლანეტებს და მათი მაცხოვრებლები წარმოდგენენ ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ, ჰუმანოიდურ არსებებს.

ესენიც თქვენი მეგობრები არიან, რომელიც თქვენს პარალელურ სამყაროში ბინადრობენ და რომელთა საფრენი აპარატებიც უკვე ბევრმა ადამიანმა ნახა. და აგარტის მცხოვრების მსგავსად ისინიც ძალიან შეწუხებულები არიან დედამიწაზე მომხდარი მოვლენებით და ყურადღებას აქცევენ მათ.

ამ ცივილიზაციას აქვს უნიკალური ტექნოლოგიები და ენერჯის უსასრულო წყარო, რომელსაც ისინი სიხარულით გაგიზიარებენ, როდესაც დედამიწაზე ამისთვის შესაფერისი პირობები შეიქმნება და როდესაც ადამიანების ცნობიერება მზად იქნება მათი საჩუქრების მისაღებად.

ამაზე გავჩერდებით დღეს.

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერმვეობით!

25

## სიზმრების სამყაროები

### მამა აბსოლუტის გზავნილი 26 თებერვალი 2016 წ.

მოგესალმებით ჩემო საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს გავაგრძელო ჩემი თხრობა პარალელური სამყაროების შესახებ, რომლებიც თქვე დედამიწასთან უშუალოდ მდებარეობენ. ეს სამყაროები ძალიან ახლოს არიან თქვენთან და ისინი თითქმის ირწყმებიან ერთმანეთში. და ამ ურთიერთმედწვეადობას ბევრი თქვენგანი ძილში გრძნობს. თქვენი სიზმრების დროს თქვენ თავისუფლად მოგზაურობთ ამ სამყაროში, თუმცა ამას ვერ აცნობიერებთ. და ის სიზმრები, რომელთა დამახსოვრებაც გამოგდით, არის ამ მოგზაურობის ამონარიდები.

ეს სამყაროები საკმაოდ განსხვავებულებია – ეს დამოკიდებულია მათ ვიბრაციებზე: დაწყებული მეორე განზომილებიდან და დამთავრებული მეხუთეთი. და ამ სამყაროების შესახებ კაცობრიობისათვის თითქმის არაფერია ცნობილი,

სულიერი განვითარების ცენტრი “ალორძინება”

რადგანაც მათი დანახვა, შესწავლა და შეხება შეუძლებელია. ისინი თქვენთვის მირაჟივითაა. ეხლა კი მოგიყვებით ცოტას მათ შესახებ. ისინი გაჯერებულია ადამიანების აზრებითა და ემოციებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კრიტიკული მასაა ენერჯისა, რომლის დატევაც დედამიწის ნატიფ დონეს აღარ შეუძლია და ხშირად ეს ენერჯია გადაედინება პარალელურ სამყაროებში. ვიბრაციისდა მიხედვით ეს ენერჯიები ხვდება ამა თუ იმ სამყაროში. ამიტომაც ზოგჯერ კომმარები გესიზმრებათ, ზოგჯერ მშვენიერ სამყაროებში ხვდებით, ზოგჯერ სიბნელეში დახეტილობით. და თქვენი შეგრძნებებიდან გამომდინარე თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ, თუ რომელ სამყაროში იმყოფებით დღის დროს.

ვინ სახლობს ამ სამყაროებში? სახლობთ თავად თქვენ თქვენი ძილის დროს. აქ, როგორც მთელს სამყაროში მსგავსი იზიდავს მსგავსს, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენს სიზმრებში შეხვდებით მსგავსი ვიბრაციის ხალხს და მოხვდებით ზუსტად იმ სამყაროებში, რომლებიც თქვენი სულის მდგომარეობას შეესაბამება.

აი რამიტომ არის მნიშვნელოვანი ჰარმონიულ და მშვიდ მდგომარეობაში ყოფნა. მაშინ თქვენ სიზმარშიც აღარ “დაეცემით” დაბალ ვიბრაციებში და იმოგზაურებთ მეხუთე განზომილების მშვენიერ სამყაროში.

სიმბოლურად ამ სამყაროებს შეიძლება ვუწოდოთ თქვენი სიზმრების სამყაროები. ეს აგრეთვე ენერგო გაცვლაა, მაგრამ არა თქვენსა და დედამიწის ნატიფ დონეს შორის, არამედ თქვენსა და პარალელურ სამყაროებს შორის და ამაში არის ერთგვარი სარგებელი და პრაქტიკული მნიშვნელობა. რადგანაც თქვენი სიზმრები ასახავენ თქვენს ფსიქიკურ მდგომარეობას და ხშირად გიგზავნიან თქვენ მინიშნებებს და ადამიანებმა უკვე საკმაოდ კარგად ისწავლეს მათი გაშიფვრა.

თქვენ შეგიძლიათ ისწავლოთ თქვენი სიზმრების კონტროლი და თქვენი სურვილის მიხედვით მოხვდეთ ამა თუ იმ სამყაროში. და რაღათქმაუნდა უნდა ისწრაფებოდეთ, რომ ძილის დროს მოგზაურობდეთ მეოთხე და მეხუთე განზომილებების სამყაროებში. ისინი აგავსებენ მაღალი ვიბრაციის ენერჯიებით და სიზმარშიც კი აგიყვანენ უფრო მაღალ სულიერ დონეზე.

ითხოვეთ ყოველ ჯერზე სანამ დაიძინებდეთ ღამის მეხუთე განზომილებაში გატარება. და თუ უკვე ისწავლეთ ჰარმონიული მდგომარეობის შენარჩუნება დღის განმავლობაში, მაშინ ღამე გახდება მისი შესანიშნავი დამატება.

და რა შეიძლება იყოს იმაზე მშვენიერი, რომ დღე-ღამეში ოცდაოთხი საათი თქვენი სული იმყოფებოდეს მაღალი ვიბრაციების სამყაროში – სინათლისა და სიყვარულის სამყაროში?

გლოცავთ, ჩემო ძვირფასებო, და ძალიან მიყვარხართ!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერმუკობით!



## წყლის მცველთა სამყარო

**მამა აბსოლუტის გზავნილი 27 თებერვალი 2016წ.**

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო შვილებო!

მოდით გავაგრძელოთ საუბარი სხვა სამყაროებზე, რომლებიც თქვენს გვერდით არსებობენ.

პირობითად ამ სამყაროებს პარალელურები ეწოდება, თუმცა გეომეტრიის თვალსაზრისით ისინი განლაგებულია სხვა სიმკვრივის სამყაროებში. ისინი გამოყოფილია თქვენგან ერთგვარი რთული გეომეტრიული კონსტრუქციით, რომელიც ძალიან მაღალი ვიბრაციის ენერჯისგან შედგება. ამიტომაც მესამე განზომილების ადამიანს პრაქტიკულად არ შეუძლია იქ მოხვედრა. გამონაკისს შეადგენს სიზმრების სამყარო, რომლის შესახებაც იყო საუბარი. ყველა დანარჩენი სამყარო დედამიწისგან ისე განსხვავდება, რომ თქვენი გონება ჯერ კიდევ არ არის მზად მოიცვას ის, თუ რაც ხდება იქ.

თუმცა მე მაინც მოგიყვებით რამოდენიმე მათგანზე, რადგანაც თქვენი ცხოვრება მესხუთე განზომილებაში არც ისე შორსაა. ხოლო იქიდან უკვე შესაძლებელი იქნება ამ საიდუმლოებით მოცულ სამყაროებში შეღწევა.

ამ სამყაროებიდან ყველაზე მაღალგანვითარებული არის წყლის მცველთა სამყარო. ისინი გვანან დიდ ხვლიკებს, თუმცა არანაირი საერთო არ აქვთ რეფტილოიდების ცივილიზაციასთან. მათი სხეულები ანათებს მოოქროსფრო-მომწვანო სინათლეს ხოლო მათი თვალები სინათლესა და სიყვარულს. ეს მეექვსე განზომილების ცივილიზაციაა, ამიტომაც მათი სხეულები იმდენად გავრცობილია, რომ მათი სურვილის მიხედვით საკუთარი ფორმის შეცვლა შეუძლიათ. ისინი არ დადიან, თითქოს ცეკვავენ, მსუბუქად ცურავენ ზედაპირზე.

მათი სამყარო ძალიან განსხვავდება თქვენისგან. მას შეგიძლიათ უწოდოთ “წყლის სამეფო” რადგანაც ის ძირითადად მდინარეებისა და ტბებისგან შედგება. ამ სამყაროს მცხოვრებნი ერთნაირად კარგად გრძნობენ თავს როგორც წყალში ასევე ხმელეთზეც. მათ პირდაპირი მნიშვნელობით შეუძლიათ წყალზე სიარული. და ამ ცივილიზაციის მთავარი თავისებურება ისაა, რომ იქ სრულიად არ არის რაიმე მოწყობა არც სოციალური, არც სახელმწიფო და ასე შემდეგ.

იქ ყოველი არსება საკუთარი “სახელმწიფოა”: იმდენად ყოველი მათგანი თვითკმარი და ყოველმხრივად განვითარებულია, ყოველი საკუთარ მისიას ასრულებს.

ამ სამყაროს პირობითად შეგიძლიათ უწოდოთ ინტელექტუალურ-სულიერი სამყარო მეექვსე განზომილებისა. მისი არსებობის მთავარი აზრია წყლის ენერჯის გატარება და მისი გაწმენდა, რომელიც იქ როგორც დედამიწიდან, ასევე პარალელური სამყაროებიდან ხვდება.

სულიერი განვითარების ცენტრი “ალორძინება”



## სამყაროს მოწყობა

ეს სამყარო არის ერთგვარი ფილტრი, რომლის გავლის შემდეგაც წყლის ენერგია ბრუნდება იმ სამყაროებში, საიდანაც მოვიდა. ის ბრუნდება სუფთა და ღვთაებრივი სინათლითა და სიყვარულით აღვსებული. მე მესმის, რომ თქვენთვის ამის გააზრება ძალიან რთულია მაგრამ მე მსურდა, რომ თქვენ იცოდეთ, თუ როგორ რთულადაა მოწყობილი სამყარო და რომ არსებობს მთლიანი ცივილიზაციები, რომლებმაც სხვებს მიუძღვნეს თავი. ისინი წმინდავენ ენერგიას, რომელიც ნაკლებად განვითარებული ცივილიზაციებიდან მოდის.

და მე კიდევ მსურდა, რომ გეგრძნოთ თქვენ “ძმებთან” კავშირი და გაგეგოთ, თუ როგორ სამუშაოს ასრულებენ ისინი თქვენთვის, როცა წმინდავენ მდინარეებს, ტბებს და ზღვებს, რომლებსაც თქვენ ასე დაუფიქრებლად კლავთ და აბინძურებთ.

დამიჯერეთ, მათი უანგარო სამუშაოს გადემე დედამიწაზე უკვე დიდი ხნის წინ დადგებოდა წყლის “კატასტროფა”.

გახსოვდეთ ისინი და პატივი ეცით მათ საქმეს!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერშვეობით!

## ადამიანის რასის წარმოშობა

29

### მამა აბსოლუტის გზავნილი 5 აპრილი 2016წ.

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო შვილებო!

დღეს მოგიყვებით თქვენს ისტორიას, თქვენი წინაპრების, შესახებ. იმისათვის, რომ თქვენ დაბრუნდეთ თქვენს საწყისთან, უკეთესად შეძლოთ გაიგოთ ის, რაც ხდება დღეს თქვენს თავს. და დავიწყებთ ჩვენ შორიდან. პირველი ადამიანები დედამიწაზე გამოჩნდნენ საყოველთაო წარღვნის შემდეგ. მანამდე აქ სახლობდნენ მაღალი რასები, რომელთათვისაც დედამიწა იყო ერთგვარი სცენა, რომელზედაც ისინი აწყობდნენ სპექტაკლებს საკუთარი ზებუნებრივი ძალების გამოყენებით.

საიდან იწყებს სათავეს ადამიანური საწყისი – იმ სახით, რომელიც დღეს გვხვდება. რატატქმაუნდა თქვენ არ წარმოიშვით მაიმუნებისგან და არც მაღალი რასისგან. თქვენ, ჩემო ძვირფასებო, წარმოიშვით სხვადასხვა უცხოპლანეტური ცივილიზაციების ღნმ-ს შერწყმის შედეგად. პლეისტოცენული ღნმ იყო არჩეული საბაზისოდ და სწორედ პლეისტოცენულს დაევაღათ ადამიანის სხეულის შექმნა. მაგრამ საკუთარი გენები შემოიტანეს აგრეთვე სხვა უცხოპლანეტურმა რასებმა, რომლებსაც მაღალი სულიერი განვითარების ღონე ქონდათ.

რატომ მოხდა ეს? საქმე ისაა, რომ პლანეტა დედამიწა წარმოადგენს ძალიან “გემრიელ ნაჭერს” ბევრი ცივილიზაციისათვის. ის იდეალურია სიცოხლისათვის. და თანდათანობით აქ მოდიოდნენ სხვა უცხოპლანეტური ცივილიზაციების წარმომადგენლებიც. და ქორწინებისგან, რომეიც ისინი ერთმანეთთან ახდენდნენ, მოხდა ადამიანების დაბადება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ ყველანი ატარებთ ამა თუ იმ უცხოპლანეტური ცივილიზაციის გენებს. გარეგნულად ყველაზე მეტად ანდრმედიანელებს გავხაროთ, თუმცა ისინი უფრო მეტად მალეები არიან. როგორ მოხდა ისე, რომ თქვენ მიიღეთ ზუსტად ისეთი გარეგნობა, რომელიც ადამიანისთვის ჩვეული იყო ათასწლეულების განმავლობაში და რატომ არ შეიცვალა ის პრაქტიკულად?

მოხდა ეს ძალიან ზედმიწევნითი გენეტიკური დამუშავების შედეგად, რომელსაც ატარებდნენ საუკეთესე მეცნიერები და ბიოლოგები სხვა პლანეტებიდან. ისინი იყვნენ დიდად დაინტერესებულნი, რომ ადამიანი გამხდარიყო ღვთაებრივი ქმნილებების პიკი. ის ასეთიც გახდა. ოდესღაც თქვენ შეგეძლოთ გურთიერთათ ერთმანეთთან ტელპატიურად. თქვენი ინტუიცია იმდენად განვითარებული იყო, რომ თქვენ უპრობლმოდ იღებდით სწორ გადაწყვეტილებებს ნებისმიერ სიტუაციაში. თქვენ ცხოვრობდით ჰარმონიაში საკუთარ თავთან და ბუნებასთან.

ეს იყო კაცობრიობის ოქროს ხანა, როცა დედამიწაზე მეფობდა სიყვარული და ადამიანებმა არ იცოდნენ მტრობა და აგრესია. ხოლო რა მოხდა? რამ შეცვალა თქვენი განვითარების გზა?

მოხდა ისე, რომ ადამიანებმა სიბრთხილე დაკარგეს – ზედმეტად კარგი და წყნარი იყო მათი ცხოვრება. და ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს რეფტილოიდებმა. ეს რეფტილოიდთა რასა არის ადამიანთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ სულიერი განვითარების დონეზე. მათ გამოიყენეს ადამიანთა მიმდობლობა, რადგანაც მათ (ადამიანებს) აგრესია სრულებით არ ქონდათ, და დაიწყეს ნელ-ნელა ადამიანთა საზოგადოებაში საკუთარი პროგრამების ჩაშენება. ეს დაყოფის პროგრამები იყო და მიზნად ისახავდა, რომ თანდათანობით დაექვევდებარებინათ მათი ცნობიერება და გამოეყენებინათ ადამიანბი საკუთარი მიზნებისათვის.

იყო აგრეთვე სხვა ტექნოგენური ცივილიზაციები განვითარების ასეთივე დაბალ დონეზე, რომლებიც იტაცებდნენ ადამიანებს და გამოჰყავდათ საკუთარი ჰიბრიდები იმ მიზნით, რომ დედამიწის კოლონიზაცია მოეხდინათ.

თუ სად მიგვიყვანა ამან, თქვენ უკვე იცით. მთელი თქვენი სისხლიანი ისტორია, მთელი თქვენი უბედურებები და ტანჯვა არის შედეგი თქვენს ცხოვრებაში ამ არსებების ჩარევისა. ისინი, იმის შემდეგ რაც დაიმოსნეს ადამიანები, უფრო მეტად დეგრადირდნენ სულიერად, რადგანაც მათი მადა გაიზარდა და მათ უფრო და უფრო მეტი ძალაუფლება სწყუროდათ.

ამჟამინდელად, დრაკონების რასა, რომელიც დედამიწის ეთერულ დონეზე ცხოვრობდა გაღვენილია ნათელი ძალების მიერ, მაგრამ მათ მიერ შექმნილი ბიოლოგიური ჰიბრიდები კიდევ დარჩნენ. ისინი კაცობრიობის დაბყრობასა და დამონებაზე არიან დაპროგრამებულნი. ასევე მოხერხდა მათი დანერგვა ძალაუფლების ყველა სრტუქტურაში და სრულიად აკონტროლებენ დედამიწის მსოფლიო მმართველობას. და თუმცა მათ აღარ აქვთ საკუთარი შემქმნელების დახმარება, ისინი აგრძელებენ მათში ჩანერგილი პროგრამების მკაცრად მიყოლას.

ის, რაც ხდება დედამიწაზე ახლა არის ერთგვარი აპოკალიფსი, რადგანაც მათმა ტექნოლოგიებმა მიაღწიეს ისეთ მაღალ დონეს, რომ შეუძლიათ გაანადგურონ პლანეტა და ყველა ცოცხალი ორგანიზმი დედამიწაზე.

წრე ჩაიკეტა. და ახლა თქვენი პლანეტის გადასარჩენად არის ერთადეთი გამოსავალი – დაიბრუნოთ თქვენი დაკარგული ღვთაებრივობა, რაც აავსებს დედამიწას სიყვარულით და ისეთი მაღალი ვიბრაციის ენერგიებით, რომლებიც გაანეიტრალებენ ბოროტების და აგრესიის ენერგიებს და გაანთავისუბლებს კაცობრიობას დრაკონების მმართველობისგან.

და სწორედ ამ მიზნით იქნა გადაწყვეტილი უპრეცედენტო ექსპერიმენტის ჩატარება: თქვენი პლანეტისა და მისი მკვიდრების გადასლა ფიზიკური სხეულებით მეხუთე განზომილებაში. ის მოიცავს ყველა მაღალ სულს, რომელიც შეძლებს საკუთარი ღვთაებრივი წარმოშობის გახსენებას.

ამაზეა გადასროლილი ახლა ყველა ძალა ანგელოზებისა, მთავარანგელოზებისა, ამაღლებული ოსტატებისა, თქვენი გალაქტიკური ძმებისა – ყველა თქვენი ზეციური მფარველისა, რომლებიც ჩაებნენ ბოლო და გადამწყვეტ შერკინებაში დედამიწაზე არსებულ ბნელ ძალებთან.

ბევრი ადამიანის სული ყოველდღიურად იღვიძებს და ისინი სულ უფრო და უფრო მეტნი ხდებიან. და უკვე არც ისე შორსაა ის დღე, როცა გაერთიანდება მთელი გალაქტიკური ოჯახი და ეს იქნება დიდებული ძალა, რომელის გამკლავებაც დრაკონებს აღარ შეეძლებათ და საბოლოოდ დაეცემა მათი ძალაუფლება. რომელმაც ადამიანთა ისტორიის სვლა შეცვალა და სრულიად სხვა სცენარით წაიყვანა ის.

იქონიეთ კიდევ ცოტა მოთმინება ჩემო ძვირფასებო. დამიჯერეთ, უკან გზა უკვე აღარ არის. საუბარი მიდის მხოლოდ იმაზე, თუ რამდენი ადამიანის გადარჩენა მოხერხდება და რომელი თქვენგანია მზად ამაღლდეს თქვენს პლანეტასთან ერთად.

კაცობრიობა ბრუნდება საკუთარ ოქროს ხანაში და უკვე საბოლოოდ!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერმეოებით.

## ადამიანთა რასის წარმოშობა (გაგრძელება)

### არ გაიმეოროთ წარსულის შეცდომები

#### მამა აბსოლუტის გზავნილი 6 აპრილი 2016წ.

მოგესალმებით ჩემო ძვირფასებო!

მე მსურს რომ გავაგრძელო ჩემი გუშინდელი გზავნილი, რომელიც ადამიანის წარმოშობას ეხებოდა და მსურს დაწვრილებით მოგიყვებოთ თუ რატომ შეძლო ასე მარტივად სულიერად უფრო დაბალ განვითარებულმა ცივილიზაციამ თქვენი განვითარების გზის შეცვლა. მე ვიმედოვნებ, რომ ეს დაგეხმარებათ არ გაიმეოროთ წარსულის შეცდომები.

მოდით დავბრუნდეთ იმ ოქროს ხანაში, როდესაც თქვენ იყავით ნამდვილად ბედნიერები და უზრუნველები. ეს იყო მეხუთე განზომილების სამყარო. ზუსტად მისგან გამოხვედით და ახლა მასში ბრუნდებით. დედამიწა ამ პერიოდში იყო მალდენას, მომავალი დედამიწის პროტოტიპი. თქვენი პლანეტა ამჟამად კი დგას საკუთარი გარდაქმნის პირას, რომელიც ახალ რეალობაში გადასვლას გულისხმობს.

იმ პერიოდში კლიმატი დედამიწაზე იყო ძალიან რბილი, თანაბარი და მოალერსე. დედამიწა გახვეული იყო მწვანეში. ზღვები, მდინარეები და ტბები იყო პირველნილი სისუფთავის.

ადამიანები ცხოვრობდნენ მცირე კომუნებში, რომლებიც იქმნებოდა საერთო ინტერესების და სულიერი სიახლოვის მიხედვით. ოჯახებიც აგრეთვე სულიერი ერთობის საფუძვლზე იქმნებოდა, რომელიც აერთიანებდა კაცს და ქალს.

დამორება და დრო იყო საკმაოდ პირობითი გაგება, რადგანაც მეხუთე განზომილების რეალობის დროს არ ქონდა წრფისებრივი თვისება, ხოლო მანძილის გადალახვა ფიქრის ძალით შეეძლოთ ადამიანებს. იმ პერიოდის ადამიანები პრაქტიკულად არ ბერდებოდნენ და არ ავადმყოფობდნენ, რადგანაც საკუთარ ცხოვრებას მიჰყვებოდნენ სამყაროს კანონებიდან გამომდინარე და ყველა გარეგანი ასახავდა მათ ღვთაებრივ არსს.

როგორ მოხდა ისე, რომ საკმაოდ მცირე ხანში თქვენ შეძელით მესამე განზომილებაზე გამკვრივება, ანუ ფიზიკურად და სულიერად ასე დეგრადირება?

ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ დრაკონების ცივილიზაციამ ნელნელა დანერგა საკუთრების გრძნობა. სწორად ეს იყო ის გამშვები პუნქტი, ის “მაცდუნებელი გველი” რომლიდანაც წარმოიქმნა ისეთი “მონსტრები” როგორიცაა სიხარბე და ძალაუფლება.

ეს “ემმაკი” ცივილიზაცია უკვე იმ პერიოდში ფლობდა პსიქოტრონულ იარაღს, რომელიც დაეხმარა მათ ადამიანთა გონებაში მათთვის საჭირო პროგრამების ჩანერგვაში, ხოლო შემდგომში საკუთარი გენებისაც. საკუთარი აზრებით სუბთა ადამიანები ვერც კი წარმოიდგენდნენ, თუ როგორი საბრთხე ემუქრებოდათ. ისინი ვერ ხვდებოდნენ, თუ რატომ იცვლებოდა გამეფებული სიყვარულის ატმოსფერო დედამიწაზე შურის, ბრაზისა და აგრესიის ენერგიებად.

ადამიანებმა საკმაოდ დიდი ხანი შეძლეს შეეკავებინათ დრაკონების ზეგავლენა. ამისათვის იყენებდნენ მთავარ იარაღს – სიყვარულს. მაგრამ ეჭვების თესლი უკვე დათესილი იყო ბოროტადგანზრახული ხელის მიერ და მან დაიწყო საკუთარი გზის პოვნა.

ამგვარად, რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში ღმერთკაცი გადაიქცა უბრალო ადამიანად – ისეთდად, როგორიც იცით დღეს. და ამის ყველა შედეგიც თქვენთვის ნაცნობია.

ამიტომ, ჩემო ძვირფასებო, ასეთი მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციოთ ყველა თქვენს აზრს, ყოველ ემოციას იმისათვის, რომ არ დაეცეთ უკან მატერიაში და თუ ეს აზრები ნეგატიური კუთხისაა, მაშინვე გარდაქმენით ასეთი ემოციები სიყვარულად. ის (სიყვარული) არის ერთადერთი გადამრჩენელი “წამალი ყველა დაავადებისგან”. შეაჩერეთ ეს დამანგრეველი პროგრამები, რომლებიც ადამიანებს ყოფს და ავსებს მტრობითა და სიძულვილით.

აავსეთ მთელი თქვენი ცხოვრება სინათლითა და სიყვარულით, რათა გახდეთ ხელმეუხებელნი, რათა დაიბრუნეთ თქვენი ღვთაებრივი არსი, რათა მარდად და სწრაფად იმოძრაოთ ამაღლების გზისაკენ, კაცობრიობის ოქროს ხანისაკენ!

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერშვეობით.

## ყველაფერი საკუთარ ადგილს უბრუნდება

**მამა აბსოლუტის გზავნილი 14 აპრილი 2016წ.**

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო შვილებო!

დღეს იქნება უჩვეულო გზავნილი, რადგანაც მოგიყვებით იმ ძველ პერიოდზე, როდესაც ჯერ კიდევ ადამიანი-ანგელოზები იყავით, რათა განახოთ მთელი გზა, რისი გავლაც მოგიწიათ, რათა დაბრუნდეს ყველაფერი საკუთარ ადგილას.



მე უკვე მოგიყვით იმ პერიოდზე, როდესაც მეხუთე განზომილებაში ცხოვრობდით და ფლობდით ყველა იმ შესაძლებლობას, რომელიც იქ იყო ჩვეული.

დღეს მოგიყვებით დაწვრილებით, თუ როგორ იყო მოწყობილი იქ ცხოვრება. და გავაკეთებ მე ამას იმიტომ, რომ გაიაზროთ, თუ როგორ უნდა ააშენოთ თქვენი ცხოვრება ახლა, როდესაც ახლის პირისპირ ხართ, თუმცა რალურად ასეთი თქვენთვის ნაცნობი რეალობისა. იმ შორეულ პერიოდში არ იყო არავითარი გარემოებები, არავითარი სტერეოტიპი, რადგანაც ადამიანებს შორის ყველა ურთიერთობა დგებოდა მხოლოდ და მხოლოდ სულის ხმის მიყვლით.

ოდესღაც თქვენი სულები მოდიოდნენ დედამიწაზე იმ ცოდნით, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მათ აქ, რისთვის მოვიდნენ, რაში მდგომარეობდა მათი მისია.

ამის გარდა მათ ქონდათ შესაძლებლობა ეცნოთ საკუთარი მონათესავე სულები, საკუთარი მეორე ნახევრები. ამიტომაც მაშინ არ არსებობდა წარუმატებელი ქორწინება, რთული და მტკივნეული ურთიერთობები. ყველაფერი იყო ჰარმონიული და ბუნებრივი. და ეს იყო დიდებული ბედნიერება იმ ბავშვებისათვის, ვინც იბადებოდნენ სიყვარულში და ჰარმონიაში.

ყველა ტრაგედია, რომელიც გათამაშდა შემდგომში ქალსა და კაცს შორის იყო დაყოფის შედეგი, რომელიც დრაკონების რასამ თავს მოახვია ადამიანებს. მათ შორის ურთიერთობებმა დაიწყო ჩამოყალიბება მისაკუთრებისა და ერთის მეორეზე მაღლა დგომის საფუძველზე.

სულებმა შეწყვიტეს ერთმანეთის ცნობა და ამიტომაც ყველაფერი შეირია დედამიწაზე. და თუ როგორმე პოულობნენ მეორე ნახევარს, ეს იყო დიდი იშვიათობა და უფრო წესებიდან გამონაკლისი.

მაგრამ ინტუიციურად თქვენ ყოვლთვის იცოდით, რომ დედამიწაზე არსებობს თქვენი მეორე ნახევარი და ცდილობდით მის მოძებნას. ვერავინ შეძლო ამის წაშლა თქვენი ღრმა ცოდნიდან.

ზუსტად ამგვარად ბევრი თქვენგანი ინტუიციურა გრძნობს, რომ არ ცხოვრობს საკუთარი ცხოვრებით: სხვა ადგილას მუშაობს, სხვასთან ერთად ცხოვრობს, სხვაზე ხარჯავს საკუთარ დროს. მათი სული იტანჯება და ცდილობს ამ დაწყვეტილი წრიდან გამოსვლას, მაგრამ იშვიათად გამოსდის ამის გაკეთება მას, რადგანაც შებოჭეს ის ცხოვრების სოციალურმა პირობებმა.

და ახლა, ჩემო ძვირფასებო, მოვიდა დრო ამოიტანოთ თქვენი ღრმა მახსოვრობისნა დვთაებრივი ცოდნა, გამოამქლავნოთ ყველა თქვენი ქუმბარიტი გრძნობა, მიენდოთ საკუთარ ინტუიციას, ისწავლოთ საკუთარი ზედა მეს მოსმენა და არ გაჰყვეთ საზოგადოებას და მის მიერ ხელოვნურად თავსმოხვეულ ფასეულობებს.

ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თავაშვებული ცხოვრებით უნდა იცხოვროთ. ეს შეგუძლია გირჩიოთ მხოლოდ თქვენმა ეგომ, რომელსაც სურს სიამოვნება და აღვირახსნილობა.

თქვენი რეალურად შეცვლა და საკუთარი ბუნების პირველყოფილი ცოდნის დაბრუნება შეუძლია მხოლოდ ვიბრაციების აწევას, დედამიწაზე არსებული მოვლენების სრული გააზრებას და გულით მიღებას. ამ ცვლილებებს დედამიწა ამადლებამდ მიყავს, ეს კაცობრიობისათვის დიდი საჩუქარია, ეს “ჯილდოა” ყველა თქვენი ტანჯვისათვის, ყველა უბედურებისა და წართმევისა რომლის გადატანაც მოგიწიათ თქვენი ცხოვრების მრავალი საუკუნი განმავლობაში.

მე ძალიან ვიმედოვნებ, ჩემო ძვირფასებო, რომ თქვენს საწყისთან ეს დაბრუნება მოხდება თქვენთვის რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და ჰარმონიულად. და მე გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთან ჩემი საყვარელი შვილის მერშეკობით

## პლანეტა გლორია

**მამა აბსოლუტის გზავნილი 27 აგვისტო 2016წ.**

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილებო!

დღევანდელ გზავნილში მე მსურს მოგიყვებ იმ პლანეტის შესახებ, რომელიც ძალიან დიდ როლს ასრულებს თქვენს ცხოვრებაში, თუმცა თავად თქვენ ამის შესახებ არაფერი იცით.

საუბარი წავა პლანეტა გლორიას შესახებ, რომელიც მზის მეორე მხარეს არის და ამიტომ თქვენთვის უხილავია. ამ გასაოცარმა პლანეტამ მიიღო ყველაფერი საუკეთესო, რაც დედამიწაზე იყო შექმნილი სხვადასხვა ცივილიზაციების მიერ მთელი მისი არსებობის განმავლობაში. და მასზე დასახლებულები არიან ყველაზე ნათელი სულები, რომლებსაც ოდესმე დედამიწაზე უცხოვრიათ. რატომ გადავწყვიტე დღეს ამის შესახებ მომეყოლა თქვენთვის? იმიტომ, რომ ის არის მომავლის დედამიწის ერთგვარი პროტოტიპი. ის უკვე მდებარეობს მეხუთე განზომილებაში და მეფობს იქ ზუსტად ისეთი ატმოსფერო, როგორიც იქნება დედამიწაზე მისი ამადლების შემდგომ.

ახლა იქ გაჩაღებულია მუშაობა, რომელიც კავშირშია იმასთან, რომ გლორიას მაცხოვრებლებმა გადაწყვიტეს თქვენი ნებაყოფლობითი დამხმარეები გამხდარიყვნენ და ახლა ითვისებენ თქვენთან კონტაქტის ახალ მეთოდებს იმისათვის, რომ დაგეხმარონ ახალ პირობებში ცხოვრებასა და თქვენთვის ახალი უნარების გამოყენებაში.

ეს არის დიდებული მოხელებების პლანეტა, რადგანაც მიდიან მასზე მხოლოდ ისინი, ვინც აირჩიეს საკუთარ მისიად ადამიანების მიმართ მსახურება. იქ მეფობს საქმიანი და შემოქმედებითი ატმოსფერო. ყოველი მათგანი საყვარელი საქმიანობითაა დაკავებული, იმით რაც აირჩია მათმა სულებმა.

ეს პლანეტა ღიაა ყველა უცხოპლანეტური ცივილიზაციისათვის, ვინც კაცობრიობის მიმართ მეგობრულადაა განწყობილი და ვისაც სურს შეიტანოს საკუთარი წვლილი ამ გრანდიოზულ პროექტში – დედამიწის მეხუთე განზომილებაში გადასვლაში.

ბევრი მეცნიერი, მსახიობი, მომღერალი და ყველა ის ვისმა ნიჭმაც გაალამაზა დედამიწა, გარდაცვალების შემდეგ გადავიდნენ ამ საოცარ პლანეტაზე. და ახლა ყველანი ინტერესით უყურებენ იმას, თუ რა ხდება დედამიწაზე და ცდილობენ ყველა შესაძლო გზით გადასცენ ადამიანებს საჭირო ინფორმაცია.

გლორიის მცხოვრებლებთან კონტაქტი დაგეხმარებათ ძალიან სწრაფად შეეგუოთ თქვენთვის ახალი ცხოვრების პირობებს: რადგანაც, როცა დაინახავთ ნაცნობ სახეებს, ვინც ოდესღაც თქვენთვის საყვარელი და საპატივსაცემო ადამიანები იყვნენ დედამიწაზე, თქვენ სულში სიმშვიდეს იგრძნობთ და მოგეჩვენებათ, რომ დაბრუნდით სახლში ხანგძვივი მივლინებიდან, რომელიც მძიმე და გადამღლელი იყო და ახლა საბოლოოდ შეხვდებით თბილ და ძვირფასს სახლს, სადაც მეფობს სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო, სადაც ნაცნობი და ახლობელი სახეებია, სადაც შეგიძლიათ სულიერად დაისვენოთ და დაკავდეთ იმით, რაზეც დიდი ხანია ოცნებობდით, რაზე გსურდათ მიგედღვნათ თქვენი ცხოვრება, მაგრამ ვერ შეძელით თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

\*\*\*

პლანეტა გლორია – ეს დედამიწის ანარეკლია, მაგრამ მხოლოდ მის იდეალურ ვარიანტში, სადაც არ არსებობს დუალობა, ანუ ნებისმიერი ნეგატიური აზრისა და ემოციის გამოვლინება. ბუნება მასზე ძალიან გავს დედამიწისას, მაგრამ წმინდაა და ამიტომ მოგეჩვენებათ, რომ ფერები უფრო ნათელი და გაჯერებულია.

დიდი ხნის განმავლობაში გლორია რჩებოდა თქვენი მხდველობის არის მიღმა და ახლა მოვიდა დრო გაიგოთ თქვენი დის შესახებ, რომელიც მოუთმენლად გელით და ოცნებობს გნახოთ ისეთივე წყნარები, ბედნერები და ჰარმონიულები, როგორების არიან ამ პლანეტის მაცხოვრებლები.

როდესაც დედამიწა მეხუთე განზომილებაში გადავა, თქვენ შეგეძლებათ ადვილად და თავისუფლად იფრინოთ ერთმანეთთან სტუმრად, ისწავლოთ ჯადოსნურ სამყაროში ცხოვრება, შექმნათ თქვენი ცხოვრება და გარემომცველი სამყარო თქვენი აზრის ძალით.

## სამყაროს მოწყობა

და ყველაფერი ეს უკვე სრულიად ახლოსაა ჩემო ძვირფასებო!

გლოცავთ და მიყვარხართ განუზომელად!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთა ჩემი საყვარელი შვილის მერშვეობით.

## ენერგეტიკული გაერთიანება სამყაროსთან

### სამყაროსთან თქვენი ენერგეტიკული ერთობის შესახებ

**მამა აბსოლუტის გზავნილი 3 ნოემბერი 2016წ.**

მოგესალმებით ჩემო საყვარელო შვილებო!

დღეს კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით ენერგიების თემას, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს თქვენს ცხოვრებაში და თქვენ უფრო ღრმად აცნობიერებთ მათ ჭეშმარიტ მნიშვნელობას. ახლა კი განვიხილავთ მათ (ენერგიების) სხვა ასპექტს, იმას, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ისინი თქვენს შიგნით, ანუ თქვენ პირად გარემოში, და თუ როგორ უკავშირდებიან ისინი სამყაროს ენერგეტიკულ გარემოს.

უკვე ბევრჯერ ითქვა, რომ ყოველი ადამიანი – ეს ცალკე აღებული მთელი სამყაროა, უფრო სწორად მისი მცირე ასლი. ეს იმას ნიშნავს, რომ სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესი აისახება თქვენზეც – პროექცირდება თქვენს ნატივ სხეულებზე. ახლა კი შევეცდები აგიხსნათ, თუ როგორ ხდება ეს.

წარმოიდგინეთ თქვენი თავი ბურთად, რომლის შიგნითაც მდებარეობს თქვენი ფიზიკური სხეული, ხოლო შემდგომ მოდის თქვენი ნატიფი სხეულები. ყველაზე ხშირად საუბარი ეხება ადამიანის შვიდ სხეულს, თუმცა რეალურად ისინი ბევრად მეტია და ყოველი შემდგომი ნატიფი სხეული უფრო და უფრო მეტად არის დაშორებული მისი წინამორბედისგან, ამიტომ ისინი უსასრულობაში მიდიან და მათი აღქმა თქვენთვის არ არის შესაძლებელი. რატომ ხდება ასე?

საქმე ისაა, რომ თქვენ ყველანი ერთი საწყისიდან წარმოიქმნით, რომელთანაც მუდმივად ხართ ენერგეტიკული “ძაფებით” დაკავშირებული. და იმისდა მიხედვით, თუ სულიერად რამდენად გაიზარდა ადამიანი, ის უფრო ახლოს მიდის ღვთაებრივ საწყისთან.

ადამიანური გაგებით ამის ახსნა ძალიან რთულია, მაგრამ თუ მთლად მარტივი ენით ვიტყვით, აქაც მუშაობს მიზიდვის კანონი (მსგავსი იზიდავს მსგავსს).

რადგანაც ღვთაებრივ პირველსაწყისს აქვს ძალიან მაღალი ვიბრაციები, რაც უფრო იზრდება ადამიანის ვიბრაციები, ისინი მასთან უფრო და უფრო ძლიერად მიიზიდება.

თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ეს წყარო მაგნიტის სახით, ხოლო ყველა ადამიანის სული მცირე მეტალის ბურთულად, რომლებიც სხვადასხვა მანძილზეა დაშორებული მისგან. და საკუთარი სულიერი განვითარების შედეგად ეს სულები – “ბურთულები” მიიწევენ “მაგნიტისაკენ” პირველსაწყისისაკენ უფრო და უფრო



ახლოს, სანამ სრულიად არ შეერწყმიან მას, რაზეც რაღათქმაუნდა მილიონობით წლები მიდის.

მაგნიტის გარშემო კი მდებარეობს გარკვეული ზონები, რომლებიც საკუთარი ვიბრაციებით ხასიათდება, სადაც სხვადასხვა ცივილიზაცია ცხოვრობს. ყოველი მათგანი დაბლიდან მაღლა მიდის. ეს ხდება სხვადასხვა ვიბრაციული დონის ფატონურის სარტყლის გავლის შედეგად.

ახალ თქვენი დედამიწა დიდი ნაწილით შევიდა მეხუთე განზომილების “ზონაში” და მე ვხედავ, რომ ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტი ადამიანის სული მიიწევს ამ ღვთაებრივი დონისაკენ. და ყველა სხვა ცივილიზაცია, რომელიც უკვე ამ ღვთაებრივ დონეზეა, ცდილობს დაგეხმაროთ გადალახოთ ბოლო წინააღმდეგობა, რომელიც თქვენს სულებს ჰყობს ღვთაებრივი სიყვარულის გარემოსგან. ისინი ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ყოველ მათგანს უკვე აქვს გავლილი ეს და მშვენივრად იციან როგორი დიდებული ბედნიერებაა დუალური სამყაროდან გამოსვლა, რომელსაც გადარჩენის მკაცრი კანონები აქვს, და იქ მოხვედრა, სადაც სული სიყვარულში ნებივრობს მის მსგავს სულებთან ერთად და სადაც მას უკვე არ სჭირდება საკუთარი არსებობისთვის ბრძოლა, არამედ უბრალოდ უნდა იცხოვროს და დატკბეს არსებობით.

რატომ გადავწყვიტე ჩემო ძვირფასებო დღეს თქვენთვის ეს მომეყოლა? მე მსურდა, რომ თქვენ უკეთესად გცოდნოდათ სამყაროს აგებულების ენერგეტიკული პრინციპები და მე ვცდილობ გადმოგცეთ ეს ყველაფერი მარტივი ენით, რადგანაც ვაცნობიერებ, რომ ყველა თქვენგანს არ შეუძლია გაიაზროს სამეცნიერო ნაშრომები თავისი ტერმინოლოგიით, რომელიც მხოლოდ მეცნიერებისთვისაა გასაგები.

მაგრამ მე ძალიან მსურდა, რომ შეგეგრძნოთ მთელი თქვენი გულითა და სულით თქვენი ურთიერთკავშირი სამყაროსთან: რომ ეს ცოდნა მოდიოდეს არა თქვენი ლოგიკური გონებიდან, არამედ თქვენი ღრმა მახსოვობიდან. მსურს გააცნობიეროთ თქვენი დიდებული მისია – დაბრუნდეთ იქ, საიდანაც ოდესღაც წამოხვედით.

და მე ვხედავ, რომ ბევრმა თქვენგანმა გაიარა დიდი სულიერი გზა და უკვე დედამიწასთან ერთად ამაღლებასთან მთლად ახლოს არის.

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომელად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

## ენერგეტიკული ურთიერთკავშირის შესახებ

**მამა აბსოლუტის გზავნილი 4 ნოემბერი 2016წ.**

სულიერი განვითარების ცენტრი “ალორძინება”

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო შვილებო!

მე დღეს მსურს მოგიყვებოთ თუ როგორ მიმდინარეობს ურთიერთქმედება ხალხებს შორის მთელს თქვენს გალაქტიკასა და მთელს სამყაროში.

ეს პროცესი რთული და მრავალმხრივია. რადგანაც მოიცავს ბევრ შემადგენელ ნაწილს. ბევრი მათგანი ძალიან რთულია თქვენი გაგებისათვის, ამიტომ მე გავჩერდები მხოლოდ იმათზე, რომლებსაც თქვენთვის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და რომლის გაგება შეგიძლიათ იმ გონებით, რომელიც მესამე განზომილებაში მყოფ ადამიანს აქვს.

დავიწყებთ იქიდან, რომ ყოველი სული, რომელიც ეშვება დედამიწაზე აქ მარტო არ მოდის. მას მოჰყვება ყოველთვის სხვა ადამიანური სულების “მატარებელი” რომლებმაც გაცნობიერებულად აირჩიეს მასთან ერთად ინკარნაცია, რათა გადაჭრან საკუთარი ძველი პრობლემები, გახსნან კარმული კვანძები, ან უბრალოდ რომ არ დაშორდნენ ერთმანეთს (როდესაც საუბარი მონათესავე სულებზე მიდის, რომლებიც ერთმანეთს შეერწყნენ, და თუ ერთმა ნახევარმა გადაწყვიტა დედამიწაზე რაიმეს გავლა, მეორე შეიძლება ჩამოვიდეს იმსათვის, რომ უბრალოდ კომპანიონობა გაუწიოს მას). ამიტომ ყოველთვის იყავით ძალიან ყურადღებით თქვენი უახლოესი გარემოს მიმართ და განსაკუთრებით მათთან, ვისთანაც რთული ურთიერთობა გაკავშირებთ. დიდი ალბათობით სწორედ ესენი არიან ისინი, ვისთანაც ურთიერთობის ჰარმონიზაცია გჭირდებათ.

ახლა კი გავარჩიოთ ამ პროცესების ენერგეტიკული მხარე. და განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი, რომელიც ხშირად გვხვდება ცხოვრებაში.

ავიღოთ ოჯახი, რომელიც სამი ადამიანისგან შედგება: ქმარი, ცოლი და ბავშვი. ალბათ დამეთანხმებით, ჩემო ძვირფასებო, რომ დედამიწაზე შეუძლებელია შევხვდეთ ორ ერთნაირ ოჯახს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარეგნულად შესაძლოა ერთმანეთს გვანდნენ.

იმდენად ნატიფია ადამიანთა ურთიერთობები, იმდენ ნიუანსს მოიცავს და იმდენად მსხვრევადია, რომ ზოგჯერ ერთმა დაუფიქრებელმა სიტყვამ შეიძლება დაანგრისოს ის სამუდამოდ.

რატომ ხდება ეს, როგორ დაიცვათ თქვენი თავი, მიაღწიოთ ჰარმონიას და შეინარჩუნოთ ოჯახში სიმშვიდე და სიყვარული?

ახლა კი წარმოიდგინეთ ამ ოჯახის ყველა წევრი ენერგეტიკული სუბსტანციის სახით, რომელთაგანაც თითოეულს აქვს ვიბრაციის საკუთარი დონე, საკუთარი ემოციონალური და მენტალური ფონი, ანუ აურის სხვადასხვა ფერი და საკუთარი ნატიფი სხეულების სხვადასხვა ვიბრაცია.

ერთ მათგანს, რომელიც სულიერად უფრო განვითარებულია, ეს სხეულები შეიძლება ჰქონდეს გიგანტური და გაავსოს სახლის მთელი გარემო, მეორეს კი, ძალზედ დამიწებულს და მატერიალურს, ნატიფი სხეულები შეიძლება ჰქონდეს

მაქსიმალურად “შეპერსილი”. მესამეს კი, ვინც სულიერი განვითარების დასაწყისში იმყოფება, შეიძლება ჰქონდეს საშუალო ზომის ნატიფი სხეულები.

ახლა კი წარმოიდგინეთ რა ხდება ამ სახლში, როდესაც ენერგეტიკული თვალსაზრისით ასეთი განსხვავებული არსებების ურთირთკავშირის შედეგად დადებითი ენერგიები სულიერი ადამიანისა და უარყოფითი ენერგიები “მატრიალური” ადამიანისა განუწყვეტლივ ეჯახებიან ერთმანეთში, შედიან წინააღმდეგობაში და აქვთ მუდმივი ბრძოლა, რითაც ოჯახში განსხვავებული ენერგიების მოძრაობას აპროვოცირებენ.

ეს ენერგიები გამოსხივდებიან სხვადასხვა სიმკვრივი ემოციებით: ისეთებით, როგორცაა: სიყვარული, სიკეთე, გაგება, ყველაფრის პატიება... ხოლო მეორეს მხრივ კი გვაქვს უკმაყოფილების, ვერ გაგების, გაღიზიანების და წყენის ენერგიები.

ამ ბრძოლაში ხდება მესამე ადამიანი, როგორც წესი ბავშვი, რომელიც “ნეიტრალიტეტს” ინარჩუნებს, რადგანაც ეს ენერგიები ჰაერში დაფრინავენ და გარშემო მთელ სივრცეს ავსებენ. მას არ შეუძლია დიმალოს და ხდება უნებლიე მსხვერპლი ამ ენერგეტიკული “გარჩევისა”

დროსთან ერთად, მუდმივი ენერგეტიკული შეტევების შედეგად, რომელიც მესამე პირის აურას არღვევს, ის ხდება ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, რასაც შედეგად მოჰყვება ბევრი დაავადება. განსაკუთრებით ზიანდებიან ბავშვები, რომელთა ნაზი აურა ზიანდება პირველ რიგში.

ხშირად ისეც ხდება, რომ ცოლი და ქმარი სრულიად წყნარები ჩანან: ისინი უდიმიან ერთმანეთს და ჩვეულებრივი ცხოვრების წესით ცხოვრობენ. მაგრამ მათ მიერ გამოსხივებული ენერგიები საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ, რადგანაც არ შეუძლია ენერგიას მოტყუება და თავის მოჩვენება.

ადამიანის ენერგია – ეს მისი შინაგანი არსია, მისი სუბთა სახით, მისი ენერგეტიკა, სულიერი განვითარების დონე, რომელიც განისაზღვრება სრულიად კონკრეტული ერთეულებში – ვიბრაციებში, და არა მეგობრულ გაღიმებასა და სწორ სიტყვებში. სამყაროს მოტყუება შეუძლებელია. ისევე როგორც შეუძლებელია მოატყუო ადამიანი, რადგანაც ის არის სამყაროს ნაწილი - მისი პატარა ასლი. სწორედ ამიტომ ერთი ადამიანი მორეს აღიქმამს ქვეცნობიერულად ენერგეტიკულ დონეზე და არა მისი სიტყვებითა და მოქმედებების მიხედვით. ამას შეგვიძლია ვუწოდოთ დვთაებრივი “ატავიზმი” ამ სიტყვის კარგი გაგებით, რომელიც ვერავინ და ვერაფერმა შეძლო გაუქმებინა თქვენი ცხოვრების მრავალი საუკუნის განმავლობაში

ამაზე გაჩერდებით დღეს და შემდეგ გზავნილში გიამბობთ, თუ რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ენერგეტიკულად დააბალანსოთ საკუთარი თავი და საკუთარი ახლობლები და ამასთან ერთად არ დაარღვიოთ მათი თავისუფალი ნება და მათი ენერგეტიკული გარემოს საზღვრები.

## სამყაროს მოწყობა

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომელად უყვარხართ, საუბრობდა  
თქვენთა,

## ენერგეტიკული ურთიერთკავშირის შესახებ (გაგრძელება)

მამა აბსოლუტის გზავნილი 4 ნომბერი 2016წ.

ჩემო ძვირფასებო, გავაგრძელოთ საუბარი ადამიანებს შორის ენერგეტიკული ურთიერთქმედების შესახებ.

რა გჭირდებათ იმისათვის რომ შეაჩეროთ ეს “ურთიერთსაწინააღმდეგოთა ბრძოლა”, რომელიც გირღვევთ ჰარმონიულ მდგომარეობას, გიწამლავთ ცხოვრებას და მიჰყავხართ დაავადებებისკენ – როგორც სულიერი ასევე ფიზიკური?

პირველ რიგში უნდა გაიგოთ, თუ რა არის ის გამაღიზიანებელი ფაქტორი თავად თქვენში, რაც იწვევს მეორე ადამიანისგან მუდმივ ნეგატიურ გამობრქვევებს. ყურადღებით დააკვირდით ამას.

ზოგჯერ ამის განსაზღვრა ძალიან რთულია, რადგანაც ადამიანები არ არიან შეცვვული ღიად ისაუბრონ, რაზეც ფიქრობენ, ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ ადამიანს უბრალოდ არ შეუძლია გარკვეულად ჩამოაყალიბოს საკუთარი პრეტენზიები მეორეს მიმართ, რადგანაც მიუღებლობა ხდება მხოლოდ ენერჯის დონეზე.

ადამიანები შეიძლება უბრალოდ არ ერგებოდნენ ერთმანეთს ვიბრაციულად, მიუხედავად იმისა, რომ გარგნულად მათ ყველაფერი კარგად და სწორად აქვთ ადამიანური თვალსაზრისით. ამაში მდგომარეობს, ჩემო ძვირფასებო, მთელი სირთულე.

გაიხსენეთ თქვენი ცხოვრებიდან შემთხვევები. ზოგჯერ თქვენ ხედავთ ყვოველმხივ იდეალურ ადამიანს, მაგრამ მისი მეორე ნახევარი რატომღაც მისით ყოველთვის უკმაყოფილოა. საქმე ისაა, რომ ისინი ენერჯის დონეზე არ ეწყობიან ერთმანეთს: ერთი ადამიანი უკვე შორს წავიდა საკუთარ სულერ განვითარებაში, ხოლო მეორე ჯერ დასაწყისში დგას.

ამასთან ერთად მეორე მათგანი შეიძლება იყოს ძალიან მოწესრიგებული და კარგი ადამიანი, რომელიც ყველას სიკეთეს უსურვებს და ცხოვრობს სხვებისთვის, მაგრამ ის აზროვნებს მხოლოდ მატერიალურად – ლოგიკურად, ანუ ცხოვრობს გონებით და არა გულით.

და ამ შემთხვევებში ერთ-ერთ მეუღლეს ძალიან უჭირს ახსნას, თუ რა არ მოსწონს თავის ქმარში (ცოლში) - ის უბრალოდ გრძნობს ინტუიციურ (ენერგეტიკულ) დონეზე, რომ ეს არ არის მისი ნამდვილი მეორე ნახევარი.

როგორც წესი ასეთ შემთხვევებში ამბობენ: “ვერ შეეწყვნენ ხასიათებით”. რელურად კი ვერ შეეწყვნენ ენერჯიებით. მაგრამ რაღაცის გამო ხომ შეიყვარეს ერთმანეთი და დაქორწინდნენ.

როგორ გადავჭრათ ეს წინააღმდეგობა, ჩემო ძვირფასებო, როგორ შეინარჩუნოთ ოჯახი? ან იქნებ პირიქით, ჯობს დაშორდეთ?

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”



რადაქმუნდა აქ არ გვაქვს ერთი რეცეფტი და ყოველი ოჯახი უნიკალურია. ერთადერთი, რასაც სიტუაციის დაბალანსება შეუძლია – არის ნათელი და მკვეთრი გაგება წარუმატებლობის მიზეზებისა სწორედაც რომ ენერგეტიკული მხრივ (სულიერი თვალსაზრისით).

და თუ ის, ვინც სულიერი განვითარების თვალსაზრისით უფრო დაბლა დგას, მოისურვებს საკუთარი პარტნიორის დონეზე ასვლას, მაშინ გამოჩნდება შანსი ოჯახში სიმშვიდისა და ჰარმონიის აღსადგენად. ეს მოხდება იმის ხარჯზე, რომ ორივე მეუღლის ვიბრაციები საბოლოოდ რეზონანსში შევლენ და მათი ენერგიები უკვე კი არ განიზიდებიან, არამედ მიიზიდებიან ერთმანეთთან.

მაგრამ სამწუხაროდ, ხდება ისეც, როცა მაღალგანვითარებული და ნათელი სული ეცემა დაბალვიბრაციულ, მატერიალურ გარემოში და კარგავს საკუთად თავდაპირველ შესაძლებლობებს და მაღალ ენერგეტიკას და ერგება საკუთარ მეუღლეს.

მაგრამ ასეთი ოჯახი იშვიათადაა ბედნიერი, რადგანაც ამ ადამიანის სული ცდლობს საკუთარი თავის გამოხატვას და დაკარგული პოზიციების აღდგენას, შედეგად (ასეთი პიროვნების გაორებისა) ადამიანი კი არ არის ბედნიერი, არამედ იტანჯბა.

როგორ მოვძებნოთ ოქროს შუალედი, ჩემო ძვირფასებო, რათა იცხოვროთ სიყვარულში სიმშვიდესა და ურთირთ შეთანხმებაში?

ერთადერთი რჩევა რისი მოცემაც შემიძლია არის რომ ყოველთვის დარჩეთ საკუთარი თავი, ნუ დამალავთ საკუთარ ჭეშმარიტ არსს, ნუ შეეცდებით რომ უკეთესი ეჩვენოთ, ვიდრე რეალურად ხართ, ნუ მოერგებით ნურავის, ნუ ითამაშებთ სხვის როლს, რადგანაც ეს არა მხოლოდ გართმევთ ბევრ დროს და ძალას, არამედ გართმევთ თქვენ და თქვენს ახლობლებს საშუალებას იცხოვროთ ენერგეტიკულ სისუფთავეში: გულწრფელობისა და სულიერი სითბოს მაღალ ვიბრაციებში.

თუ ისწავლით რომ ყოველთვის იყოთ საკუთარი თავი, ყოველთვის ისაუბროთ ის, რასაც გრძნობთ რეალურად, თქვენ შეინარჩუნებთ ბავშვურ ხელმეუხეებლობას და სულიერ სისუფთავეს, ანუ თქვენს ღვთაებრივობას და მაღალ ვიბრაციებს, რომელიც შეძლებს გაანეიტრალოს თქვენი ახლობლების ყველა ნეგატიური ემოცია და აავსოს ისინი სინათლისა და სიყვარულის ენერგიებით. და თქვენ უკვე ამით შეძლებთ თქვენს ცობიერების დონემდე მათ ამოყვანას.

და მე გლოცავთ, ჩემო ძვირფასებო, რომ გახდეთ მაღალი ვიბრაციის ენერგიების მცველები, რაც დაგეხმარებათ თქვენც და თქვენ ახლობლებსაც იცხოვროთ სიმშვიდეში, სიყვარულში და შეთანხმებაში. ეს ვიბრაციები ასევე აავსებენ თქვენს სახლს სულიერი სითბოთი და სიმყუდროვით!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომელად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

# ბუნებრივი სტიქიები (მამა აბსოლუტი)

## ბუნებრივი სტიქიები. წყალი

მამა აბსოლუტის გზავნილი 5 დეკემბერი 2016წ.

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო შვილებო!

დღეს ჩვენ ცოტათი გადავუხვევთ ამაღლების თემიდან და ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში ბუნებასა და როგორ გავლენას ახდენს ოთხი სტიქია ადამიანის ცხოვრებაზე და პირიქითაც, როგორ ზემოქმედებს მათზე ადამიანი.

ჩვეულებრივ ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედება განიხილება ძალზედ ვიწრო ჩარჩოებში: აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ადამიანი აბინძურებს გარემომცველ სამყაროს და ბუნება კი მას პასუხობს იმავეთი. ყველაფერი ეს სწორეცაა: არეკვლის კანონი უცვლელად მუშაობს.

მაგრამ ახლა ჩვენ ვისაუბრებთ ბუნებრივ სტიქიებზე უფრო ფართო მამბტაბით – მათი ღვთაებრივი წარმოშობისა და მათი როლის შესახებ ადამიანის ცხოვრებაში

დავიწყოთ ადამიანთან ყველაზე ახლობელი სტიქიით წყლით, რადგანაც ის დიდწილად აფორმირებს თქვენს ფიზიკურ სხეულს და არის სიცოცხლის წყარო ნებისმიერი ორგანიზმისათვის.

წყალი – ეს ჭეშმარიტად ღვთაებრივი სუბსტანციაა, რომელიც ჯერ კიდევ რჩება თქვენთვის გამოცანად, რადგანაც მოიცავს ძალიან ბევრ აუხსნელ და გამოუცნობ თვისებებს ადამიანის გონისათვის.

თითქოსდა ის ცხოვრობს საკუთარი ცხოვრებით, იცვლის საკუთარ სტრუქტურას, მდგომარეობას და პარამეტრებს.

ის კითხულობს და ინახავს საკუთარ თავში ინფორმაციას. მას შეუძლია ზეგავლენა იქონიოს თქვენს ფიზიკურ სხეულზე, რადგანაც ის 80%-ით წყლისგან შედგება.

და მაინც რაში მდგომარეობს მისი საიდუმლო?

საქმე ისაა, ჩემო ძვირფასებო, რომ წყალი საკუთარ თავში ატარებს ცხოვრების კოდს. და მე ახლა აგიხსნით, თუ რას ნიშნავს ეს.

სულიერი განვითარების ცენტრი “აღორძინება”

როცა თქვენი სამყარო იქმნებოდა, ცოცხალი არსების უჯრედის საფუძვლად აღებული იყო სიცოცხლის მომცემი მიკროსკოპული წვეთი წყლისა, რომელში იყო ჩაშენებული განვითარების გარკვეული კოდები.

ყოველ მცენარეს, ცხოველს და ადამიანს ქონდა საკუთარი განუმეორებელი კოდი, რომელიც შემდგომში გაიყო სუბ-კოდებად, რისი წყალობითაც დედამიწაზე არსებობს ასეთი სიმდიდრე და მრავალფეროვნება ბუნებისა და მისი მაცხოვრებლებისა.

ეს საკრალური პროცესი ცოცხალი არსების დაბადებისა, ვერ აღიწერება სიტყვებით. მაგრამ მე მსურს, რომ თქვენ იცოდეთ, რომ სწორედ წყალი გახდა დედამიწაზე არსებული ყველა ცოცხალის პირველსაწყისი სუბსტანცია.

ამიტომაც დედამიწაზე არცერთ ცოცხალ არსებას არ შეუძლია სიცოცხლე წყლის გარეშე. “წყალი – ეს სიცოცხლეა” უკვე გახდა ადამიანისთვის ჩვეული გამონათულება. ამიტომაც, როდესაც აბინძურებთ წყალსაცავებს და აშრობთ მათ დედამიწაზე, თქვენ საკუთარ თავს სიცოხლეს ართმევთ ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. და მე მიხარია, რომ კაცობრიობამ როგორც იქნა გააცნობიერა ეს და ცდილობს საკუთარი შეცდომების გამოსწორებას.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ თქვენ გააცნობიერეთ ამ ბოლო წლებში, რომ თქვენ შეგიძლიათ ზეგავლენა მოახდინოთ წყალზე საკუთარი აზრებითა და ემოციებით. და ეს ჭეშმარიტად ნამდივლი გარდვევაა ადამიანის ცნობიერებაში.

რადგანაც ამ გზით თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი სხეული, განიკურნოთ დაავადებები, იცხოვროთ ჰარმონიასა და სიყვარულში.

თქვენმა მეცნიერებმა ისწავლეს წყლის მოლეკულის სურათის გადაღება, როდესაც მასზე ესა თუ ის ემოცია ახდენს გავლენას. ეს ნიშნავს, ჩემო ძვირფასებო, რომ თქვენ უკვე შეგიძლიათ გააცნობიეროთ, რომ სიყვარულისა და სიკეთის ემოციები სრულიად ცვლიან თქვენი სხეულის სტრუქტურას.

დაფიქრდით ამ სიტყვებზე: “სინათლისებურ კრისტალური სხეული”. ეს ნიშნავს, რომ თქვენი სულიდან გამოსხივებული სინათლე ცვლის თქვენი სხეულის კრისტალიკებს და ის ხდება ღვთაებრივი თქვენ ღვთაებრივ სულთან ერთად, რომელმაც საკუთარი ჭეშმარიტი ადგილი გააცნობიერა ადედამიწაზე და შეიცნო საკუთარი უსაზღვრო შესაძლებლობები.

თქვენ გახდებით ღმერთკაცები. თქვენ დაბრუნდებით თქვენს პირველყოფილურ მდგომარეობაში, რადგანაც თქვენ ოდესღაც იყავით ღმერთები, რომლებიც დედამიწაზე დაეშვნენ.

გახსოვდეთ ეს ყოველთვის ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან



## ბუნებრივი სტიქიები. ჰაერი.

მამა აბსოლუტის გზავნილი 5 დეკემბერი 2016წ.

მოგესალმებით ჩემო საყვარელო შვილებო!

ახლა მე მსურს გავაგრძელო საუბარი ბუნებრივი სტიქიების შესახებ.

ჰაერი, ეს ისაა, რის გარეშეც როგორც ადამიანს ასევე ნებისმიერ ცოცხალ არსებას არ შეუძლია რამოდენიმე წუთით გაძლება კი.

ეს ღვთაებრივი სუბსტანცია, რომელიც მოიცავს და ავსებს ყველაფრს დედამიწაზე, შედგება თვალისათვის უხილავი პარტიკულა ნაწილაკებისგან, რომლებიც გაზისებრივია და მათი აგებულება მოგვაგონებს სამყაროსას.

ჰაერი გაჩნდა წყლის გამოჩენასთან ერთად, რადგანაც ერთი მეორეს განუყოფელი ნაწილია. ეს ორი ურთიერთშეღწევადი სუბსტანცია ქმნის სიცოცხლის ფორმულას.

ჰაერი სულ ურთიერთგაცვლის პროცესშია, რადგანაც ყველა ცოცხალი არსების ორგანიზმი არის ერთგვარი ჰაერის გადამამუშავებელი “ფაბრიკა”.

ჰაერის ერთი შემადგენლობის ჩასუნთქვის შემდეგ ისინი გამოისუნთქავენ მეორეს. და რაღაქმუნდა ეს შემთხვევით ჩაფიქრებული არ იყო.

საქმე ისაა, რომ ჰაერი ყველაზე მოძრავია ბუნებრივი სტიქიებიდან და მას არ შეუძლია ერთი წამიც კი გაჩერდეს უმოქმედოდ. ეს აიხსნება იმით, რომ თავდაპირველადვე ის იყო ჩაფიქრებული (შექმნილი) როგორც ღვთაებრივი ელემენტი, რომელიც სასიცოცხლო ენერგიით ადავსებს ცოცხალი ორგანიზმის ყველა უჯრედს.

მაგრამ, რადგანაც მისი მოლეკულა ასახავს სამყაროს აგებულებას, რომელიც მუდმივ მოძრაობაშია, ყველაფერი რაც კავშირშია ჰაერთან, ასევე მუდმივად მოძრაობს, იმ შემთხვევაშიც კი თუ ამას ადამიანის თვალი ვერ ხედავს.

და არც ისაა შემთხვევითი, რომ ადამიანი ითვლება მკვდრად, როცა ის შეწყვეტს სუნთქვას. ეს ნიშნავს, რომ მის ორგანიზმში ჰაერმა შეწყვიტა ცირკულაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი სამყარო მოკვდა – შეაჩერა საკუთარი ბრუნვა.

ყველაფერი ეს, ჩემო ძვირფასებო, საკმაოდ რთულია თქვენთვის გასაგებად, მაგრამ მე მსურს, რომ გაგეაზრათ ამ სტიქიის მთავარი არსი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ის მუდმივად მოძრაობს.

ახლა კი მოგიყვებით, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს ამ სტიქიის გადამეტებულმა მოქმედებამ, რასაც მივყავართ სამწუხარო შედეგებამდე.



ძლიერი ქარები, ქარიშხლები, ქარბორბალები – ყველაფერი ეს არის იმის შედეგი, რომ თქვენი პლანეტის რომელიმე ნაწილში დაირღვა ურთიერთგაცვლის პროცესი ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰაერის გადამუშავების “ფაბრიკამ” შეწყვიტა მუშაობა.

როგორ ხდება ეს პრაქტიკაში? მაგალითად, სადღაც, თქვენს პლანტაზე მოხდა მიწისძვრა, ანუ დედამიწის ქერქის მოძრაობა. ამგვარად ირღვევა ჰაერის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის ურთიერთგაცვლის პროცესი.

ხოლო რადგანაც დედამიწა ერთი მთლიანი ორგანიზმია, მის რომელიმე ნაწილში ხარვეზი, აისახება სხვა ნაწილზეც. ეს შეიძლება შევადაროთ იმას, რომ როგორც ადამიანს, რომელსაც ხველება აწუხებს ან რაიმეთი დათრგუნულია, ეწყება სუნთქვაში დარღვევები, და ის იწყებს ჰაერის მიღებას პირით.

იგივე ხდება დედამიწის შემთხვევაშიც. ქარბორბალები და ქარიშხლები – ეს არის დარღვევა მის სუნთქვის პროცესში, რომელიც ბუნებრივი კატაკლიზმებითაა გამოწვეული.

და ეს სტიქია უმართავია, რადგანაც ადამიანს არ შეუძლია მოიცვას თავისი ცნობიერებით რაც ხდება, დაინახოს კატასტროფის მიზეზი და შედეგად თავიდან აიცილოს ის.

ადამიანს იმისათვის, რომ შეამციროს ჰაერის სტიქიის ნეგატიური გავლენა არის მხოლოდ ის, რომ იცხოვროს სიყვარულსა და ჰარმონიაში, რაც მისცემს შესაძლებლობას იცხოვროს ამ მშვენიერ ენერგიებში თქვენს ლამაზ პლანეტასაც.

ეს შესაძლებელია იმიტომ, რომ ნებისმიერი უბედურება დედამიწაზე არის შედეგი ადამიანების მიერ დაგროვილი დიდი ოდენობით ნეგატიური ენერგიებისა.

და სწორედ ამიტომაც მეხუთე განზომილებაში არ გვხვდება არც მიწისძვრები, არც ქარიშხლები და არც ქარბორბალები, რადგანაც იქ მეფობს სინათლისა და სიყვარულის ენერგია, რომელსაც უბრალოდ არ შეუძლია გამოიწვიოს არცერთი ბუნებრივი ანომალია.

ნურასოდეს დაივიწყებთ ამას ჩემო საყვარლებო!

მამა აბსოლუტი საუბრობდა თქვენთა.

## ბუნებრივი სტიქიები. მიწა.

**მამა აბსოლუტის გზავნილი 6 დეკემბერი 2016წ.**

მოგესალმებით ჩემო საყვარელო შვილებო!

სულიერი განვითარების ცენტრი “ალორძინება”

დღეს მე მოგიყვებით მესამე ბუნებრივი სტიქიის შესახებ.

მიწა ეს არის თქვენთვის ყველაზე ახლობელი, ყველაზე ნაცნობი, ყველაზე შეგრძნებადი და ყველაზე მატერიალური სტიქია. ტყუილად ხომ არ ეძახით მას “დედა-მიწას”.

თქვენ ასე ხშირად გინდებათ ჩაეხუტოთ მას, მიიკრათ გულში, გაიაროთ მასზე ფეხშიშველმა, ჩაეფლოთ სახით სურნელოვან ბალახებში, იგრძნოთ მისი სუნი თბილ ზაფხულის ღამით და მზიან ზამთრის დღეებში. თქვენ სწორედ მასთან უფრო მეტად გრძნობთ ერთობას და განუყოფელ კავშირს. და მე აგისხნით, თუ რატომ ხდება ეს ასე.

დედამიწა – თქვენი მკვებავია. როგორც დედა გამოკვებავს თავის შვილს, ასევე ისიც კვებავს ადამიანს. მისი სიმდიდრეები ქემმარიტად უსასრულოა, და თუ მას მოებყრობით სიყვარულითა და მაღლიერებით, ის იმავეთი გიპასუხებთ და გაჩუქებთ საკუთარ განძეულობას.

მაგრამ სწორედ მიწასთან აქვს ადამიანს ყველაზე რთული და ურთიერთსაწინააღმდეგო ურთიერთობა. და ეს თქვენ არაცნობიერის დონეზე მოგდით. როგორც ოჯახებში ხდება: ვინც უფრო მეტად გიყვართ მასთან უფრო ნაკლებ ცერემონიულად იქცევით.

მასთან (დედამიწასთან) თქვენი კავშირი იმდენად გამძლეა, რომ გეჩვენებათ ის ურყევი და დაუნგრეველი. აქედან მოდის თქვენი მომხმარებითი და ბარბაროსული ურთიერთობა დედამიწის მიმართ. თქვენ გგონიათ, რომ ის თქვენ ყველაფერს გაპატიებთ, რადგან მას ასე ძალიან უყვარხართ.

და ის გაპატიობთ უკვე რმდენი საუკუნეა: ითმენს, ოხრავს და ყვირის ტკივილისგან და მაინც ელოდება, როდის გამოფხიზლდებით და შეაჩერებთ მის წამებას, მის ჭამას შიგნიდან, მისი სხეულის ტანჯვას და მისი ბუნებრივი სიმდიდრეების წართმევას.

უკვე დიდი ხანია რაც თქვენი სიყვარული ორმხრივი აღარ არის. და თქვენმა დედამიწამ უპრეცედენტო ექსპერიმენტზე წასვლა გადაწყვიტა. რათა გადაარჩინოს საკუთარი თავი და ისინი, ვისაც ის ქემმარიტად უყვარს, მან დაიწყო საკუთარი ასვლა მეხუთე განზომილებაში, სადაც არც ის და არც მასთან ერთად გადასული ადამიანები არ იგრძნობენ არც ტკივილს და არც ტანჯვას, სადაც ისინი რეალურად გახდებიან ერთიანი და განუყოფელი, სადაც იცხოვრებენ მაღალ ვიბრაციებში - სინათლესა და სიყვარულში.

და ის, რაც ხდება თქვენს დედამიწაზე, არის იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ცვლილებები სრული სვლით მიდის წინ. ყველა ქარიშხალი, ქარბოლობა, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანების ამობრქვევა და ბუნებრივი ანომალიები – ეს ადამინისათვის საფასურის გადახდაა, მათი უმაღურობისთვის საკუთარი დედა-მიწის მიმართ.

მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემო ძვირფასებო, ეს არ არის მისი შურისძიება, არც მის მიერ უყურადღებო შვილების დასჯა, არამედ ეს არის თავდაცვის საშუალება.

და მისი მოქმედებები უნებლიეა მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ როგორც არ უნდა უყვარდეთ მას, მას არ შეუძლია გააუქმოს მიზეზ-შედეგობრიობის კანონი. რსაც დათესავ იმავს მოიმკი...

და ის, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, ჩემო ძვირფასებო, არის, რომ გააცნობეროთ და მიიღოთ მთელი გულით დედამიწაზე მომხდარი საბედისწერო ცვლილებები, და შემდგომში გააკეთოთ საკუთარი არჩევანი: წახვიდეთ დედამიწასთან ერთად მეხუთე განზომილებაში, თუ დატოვოთ ის რათა გააგრძელოთ მესამე განზომილებაში ცხოვრება, მაგრამ უკვე სხვა პლანეტებზე.

და გადაწყვეტლებას აქ მხოლოდ თქვენი სული იღებს. ის არის თქვენი მთავარი მრჩეველი და მთავარი დამხმარე. უსმინეთ მას, ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომელად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან

## ბუნებრივი სტიქიები. ცეცხლი

### მამა აბსოლუტის გზავნილი 7 დეკემბერი 2016წ.

მოგესალმებით ჩემო ძვირფასო შვილებო!

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ მეოთხე ბუნებრივ სტიქიაზე.

ცეცხლი თქვენ გათბობთ, ავსებს თქვენს სახლებს სითბოთი და სიმყუდროვით. მაგრამ, ზოგჯერ ის გადაიქცევა საშიშ და უმართავ ბუნებრივ სტიქიად, რომელსაც სიკვდილი და ნგრევა მოაქვს.

ცეცხლის სტიქია ატარებს მზის ენერგიას და მის მსგავსად ცეცხლსაც შეუძლია იყოს მოალერსე და თბილი, ან ბოროტი და ფერფლადმქცევი.

და რა არის ცეცხლის ბუნება და დანიშნულება?

დავიწყოთ იქიდან, რომ ცეცხლი დედამიწაზე იქამდე გაჩნდა, სანამ სიცოცხლე წარმოიქმნებოდა და არსებობდა ის როგორც ცეცხლოვანი ლავა – ვულკანები, რომლებმაც ნელ-ნელა “დაიძინეს”.

მოხდა ეს იმიტომ, რომ თქვენი პლანეტა აირჩიეს აქამდე არნახული ექსპერიმენტის ადგილად და მასზე დაიწყო სიცოცხლისათვის საჭირო პირობების შექმნა.

მაგრამ ვულკანებმა, რომლებსაც ღვთაებრივი გონი აქვთ, გააგრძელეს ცხოვრება და დედამიწაზე საკუთარი მისიის შესრულება. ეს მისია იმაში მდგომარეობს, რომ "გამოუშვან ორთქლი" დედამიწის ზედმეტად "გადახურების" შემთხვევაში.

ასეთი გადახურების მიზეზები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი – დედამიწის ქერქის შიგნით არსებული პროცესებიდან დაწყებული ადამიანთა საზოგადოებაში არსებული სოციალური აფეთქებებით დამთავრებული.

ადამიანებმა ნელ-ნელა ისწაღეს ცეცხლის წარმოქმნა და საკუთარი მიზნებისთვის მისი გამოყენება, მათ დაიწყეს მისთვის მისტიური მნიშვნელობის მინიჭება, რადგანაც ინტუიციურად გრძნობდნენ მის ღვთაებრივ წარმოშობას.

სწორედ აქედან წამოვიდა ის ტრადიცია, როდესაც სანთელს ანთებთ ზეციური ძალების მოხმობისას.

ამიტომაც თქვენ ასე ძალიან გიყვართ მისი ყურება: ცეცხლი თითქოს გაჯადოებთ და გიხსნით გზას სხვა სამყაროებში.

თქვენ წმენდავთ ანთებული სანთლებით თქვენს საცხოვრებლებს და განდევნით ბნელ ძალებს. თქვენი ღრმა ცოდნა ინახავს ცოდნას იმის შესახებ, რომ ცეცხლი წმინდაა.

მაგრამ რატომ გადაიქცევა ეს წმინდა, ღვთაებრივი ცეცხლი დაუნდობელ მკვლელად, რომელიც საკუთარ გზაზე ყველაფერს ანადგურებს?

ჩემო ძვირფასებო, ეს ყველაფერი იმავე მიზეზით ხდება, რატომაც ხდება დედამიწაზე ქარიშხლები და ტორნადოები: როდესაც ნეგატიური ენერჯის კონცენტრაცია გადააჭარბებს დედამიწის ნორმალურად არსებობის ნორმას.

ზოგჯერ ხანძრების მიზეზები ისე ღრმადაა დაფარული, რომ ადამიანის ცნობიერებას არ შეუძლია მათი ამოცნობა. მხოლოდ ყველაზე მაღალ სულებს, რომლებსაც მსახურება აქვთ დაწყებული, შეუძლიათ გამოარკვიონ მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი, რომელიც აკავშირებს ამა თუ იმ შემთხვევას და რომელმაც მიიყვანა სიტუაცია ასეთ ტრაგიკულ დასასრულამდე.

როგორ ისწავლოთ, ჩემო ძვირფასებო, ცეცხლთან მეგობრობა?

აქაც დაგეხმარებათ იგივე, საუკუნეებით გამოცდილი, რეცეფტი: სიცოცხლე სიყვარულში და გარემომცველ სამყაროსთან და საკუთარ თავთან შეთანხმებულად.

სინათლისა და სიყვარულის ენერჯია იმდენად ყოვლისშემძლეა, რომ შეუძლია ცეცხლიც კი შეაჩეროს!

გაიხსენეთ რამდენი სასწაული გვხვდება ისტორიაში, როდესაც საშინელი ხანძრების დროს ხელუხლებელი რჩებოდა წმინდა რელიქვიები, როდესაც ცეცხლის სტიქია ჩერდებოდა მონასტერის ან მართალი ადამიანის სახლის წინ.

## სამყაროს მოწყობა

გახსოვდეთ, ჩემო ძვირფასებო, როდესაც თქვენი სულები და აზრები სუბთაა და სინათლითა და სიყვარულით ხართ სავსები, თქვენ შეგიძლიათ დაამშვიდოთ ნებსმიერი სტიქია და ასეთი დამანგრეველი და სახიფათოც, როგორცაა ცეცხლი!

გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან.

## ბუნებრივი სტიქიები. სიყვარული

მამა აბსოლუტის გზავნილი 9 დეკემბერი 2016წ.

მოგესალმებით ჩემო საყვარელო შვილებო!

დღეს მე მსურს შევაჯამო წინა ოთხი გზავნილი ბუნებრივ სტიქიებთან დაკავშირებით.

როგორც თქვენ მიხვდით, ყოველი მათგანი ფლობს დვთაებრივ გონს ისევე, როგორც თქვენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა თქვენგანი, როგორც სამყაროს ნაწილები ხართ ერთი მთლიანი. ისინი (სტიქიები) დამოკიდებულები არიან თქვენზე, როგორც თქვენ მათზე.

დღეს კი ჩვენ ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ იცხოვროთ მათთან ერთად სიწყნარესა და ურთიერთ შეთანხმებულობაში.

ახლა, როდესაც ყველა თქვენგანი მიემართება მეხუთე განზომილებაში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ცნობიერება შევიდეს რეზონანსში ოთხივე ბუნებრივ სტიქიასთან.

ამაში, ჩემო ძვირფასებო, დაგეხმარებათ მეხუთე სტიქია, რომელიც ყოველთვის ცხოვრობდა დედამიწაზე, როგორც ინკოგნიტო და მხოლოდ ახლა იკავებს საკუთარ ადგილს. მხოლოდ მას შეუძლია ჩაიდინოს ეს სასწაული – მოუტანოს ჰარმონია თქვენსა და მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლის ურთიერთობაში.

თქვენ ალბათ უკვე მიხვდით, რომ ეს სტიქია სიყვარულია – ყველა სტიქიის დედოფალი, დედამიწაზე და მთელ სამყაროში მშვიდობისა და სიწყნარის ქალღმერთი. რატომ ვეძახი მე მას სტიქიას? იმიტომ, ჩემო ძვირფასებო, რომ ის დაიბადა დედამიწაზე სიცოცხლესთან ერთად, როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი. და იმისდა მიუხედავად, რომ დროთა განმავლობაში ბევრმა ადამიანმა ის უარყო, მან არ დაკარგა თავისი ძალბი.

ის ყოველთვის ცხოვრობდა ადამიანის გულსა და სულში, ზოგჯერ განელდებოდა, ზოგჯერ კი გაღვივდებოდა და იღებდა გიგანტურ მასშტაბებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, მის სახელს ამოეფარა ბევრი “თვითმარქვია” – ისეთები როგორიცაა – მესაკუთრეობა, ეჭვიანობა, ძალაუფლება, ვნება და ბევრი სხვა.

სიტყვა “სიყვარულში” გულისხმობდნენ ყველაფერს გარდა მისი ჭეშმარიტი – დვთაებრივი – მნიშვნელობისა და ამით ცდილობდნენ მის მესამე განზომილების ჩარჩოებში მოქცევას.



და ხდებოდა ეს იმიტომ, რომ სიყვარული იმდენად მრავალმხრივია, რომ მისთვის განსაზღვრის მიცემა პრაქტიკულად შეუძლებელია. მისი სიტყვებით აღწერა არ შეიძლება – ის მხოლოდ უნდა იგრძნო. ის ჰგავს ღმრთისადმი რწმენას.

და მე მაინც შევეცდები აღვწერო ეს მენუთე და ყველაზე მთავარი სტიქია.

ის – თქვენი სულია, მისი სუფთა სახით, მესამე განზომილების ბალასტის გარეშე.

ის – თქვენი გულია, რომელიც დედამიწის გულთან ერთად ცემს.

ის – თქვენი თვალებია, რომლებიც ხედავენ ყველაფერ მშვენიერს დედამიწაზე.

ის – თქვენი ყურებია, რომლების უსმენენ ხორცშესხმულ ზეციურ მუსიკას.

ის – თქვენი პირია, რომელიც გამოთქვამს რბილ სიტყვებს.

ის – თქვენი ხელებია, რომელიც ეფერება თქვენთვის ძვირფას ადამიანებს.

ის – თქვენი ფეხებია, რომლებიც გრძნობენ დედამიწის დედისებურ სინაზეს.

ის – მთელი თვენი ცხოვრებაა მის ლამაზ გამოვლინებებში.

თუ თქვენ ისწავლით სტიქია სიყვარულის მართვას, თქვენ გახდებით დედამიწაზე ყველაზე ბედნიერი ადამიანი.

“როგორ ვმართოთ ის?” - იკითხავთ თქვენ.

მთელი საიდუმლოება კი ისაა, ჩემო ძვირფასებო, რომ მას არ სჭირდება მართვა, მასში უნდა იცხოვროთ, მასში უნდა იყოთ თქვენი არსებობის ყოველ წუთს და ყოველ წამს. მასში უნდა იბანაოთ და დატკბეთ მისი სითბოთი და სინაზით. მას სრულიად უნდა შეერწყათ, ის უნდა გახდეთ!

ამით გლოცავთ ჩემო ძვირფასებო!

მამა აბსოლუტი, რომელსაც განუზომლად უყვარხართ, საუბრობდა თქვენთან

